პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის მე-40 წელი | № 280 (11586) | სამშაბათი, 1 დეკემბერი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შესახვედრად

საბჭოების ხელისუფლება ხალხის ხელისუფლებაა

კ. ე. ვოროშილოვი

დღეს „იზვესტია“ ბეჭდავს სპეციალურ გვერდს „დეპუტატი და ცხოვრება“. „იზვესტიის“ ამ განზრახვას შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ. ჩვენი ლენინური კომუნისტური პარტიის, ჩვენი ხალხის ერთ-ერთი უდიდესი მოღწევა იყო საბჭოთა სახელმწიფოს შექმნა, რაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად განხორციელდა. საბჭოთა ხელისუფლება — ეს არის ხალხის ნამდვილი ხელისუფლება, საბჭოების მეშვეობით ყველა მშრომელთა მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის მთელი მოზრდილი მოსახლეობა პირდაპირსა და უშუალო მონაწილეობას იღებს საბჭოებში თავისი წარმომადგენლების არჩევაში. ასრულებენ რა ამომრჩეველთა განაწესს, საბჭოების დეპუტატები ყველა მშრომელთა ინტერესებისათვის უდიდეს მუშაობას ეწევიან.

ამჟამად სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში, ადგილობრივ საბჭოებში სულ არჩეულია ერთ მილიონ რვაას ათასზე მეტი დეპუტატი. ისინი მტკიცედ არიან დაკავშირებულნი საბჭოების კიდევ უფრო მრავალრიცხოვან აქტივთან, ყველა ეროვნების მშრომელთა ფართო მასებთან.

ИЗВЕСТИЯ
СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ СССР
29 ნოემბერი

საბჭოთა დეპუტატი ხალხის მსახურია. ამიტომ დიდია მისი მოვალეობა და პასუხისმგებლობა ამომრჩეველთა წინაშე. ხალხის რჩეულთ ეხება ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა საკითხი — ქარხნებისა და ფაბრიკების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, მეცნიერებისა და კულტურის დაწესებულებების, სახელმწიფო და სამმართველო აპარატის მუშაობა, საბინაო მშენებლობა, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობა, განათლება და ჯანმრთელობის დაცვა, კანონიერებისა და საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა დაცვის განმტკიცება და ბევრი სხვა საკითხი. საბჭოების დეპუტატებს თავიანთ საპატიო მოვალეობათა შესრულებისათვის დიდი უფლებები აქვთ მინიჭებული. თვითეული დეპუტატის მუშაობაში წარმატება უზრუნველყოფილი იქნება, თუ ისინი ამ უფლებებს გამოიყენებენ უნარიანად, მტკიცედ და ორგანიზებულად, თუ ყველა დეპუტატი დაეყრდნობა მოწინავე გამოცდილებას და ეცდება პრაქტიკაში გამოიყენოს იგი.

ამჟამად, როცა ჩვენი საბჭოთა ქვეყანა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში შევიდა, საბჭოების საქმიანობა აყვანილ უნდა იქნას ახალ, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე. ცხოვრება საბჭოების, მათი აღმასკომების, მუდმივი კომისიების, დეპუტატების მუშაობის სულ ახალ ფორმებს შობს.

ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური დემოკრატიის განვითარების ახალი ეტაპისათვის დამახასიათებელია სახელმწიფო ხელისუფლების ზოგიერთი ფუნქციის გადაცემა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის. პრაქტიკაში ხორციელდება ვ. ი. ლენინის დიადი იდეები სახელმწიფოს მართვაში მშრომელთა ნებაყოფლობითი და უსასყიდლო მონაწილეობის შესახებ.

მე მხედველობაში მყავს უწინარეს ყოვლისა საბჭოების დეპუტატები, რომლებიც სულ სხვადასხვაგვარ მუშაობას ეწევიან უფასოდ, თავიანთი საზოგადოებრივი მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულების საფუძველზე. წლითიწლობით იზრდება დეპუტატების აქტივობა საბჭოების სესიების მომზადებასა და ჩატარებაში, აღმასრულებელი კომიტეტების წინაშე ახალი საკითხების დაყენებაში, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაში. ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა დემოკრატიის განვითარებასთან ერთად იზრდება დეპუტატთა როლი, მათ, ბუნებრივია, უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ. საბჭოების დეპუტატები მდგომარეობის სიმაღლეზე რომ იყვნენ, მუდამ აუმჯობესებდნენ თავიანთ მოღვაწეობას, ამისათვის განსაკუთრებით საჭიროა ხალხის რჩეულთა საუკეთესო გამოცდილების განზოგადება და პოპულარიზაცია.

დეპუტატების მუშაობის გამოცდილების გავრცელებასა და პროპაგანდაში პრესას გადამწყვეტი როლი ეკუთვნის. ამასთან ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყურადღება მიექცეს ძირითადს, რითაც ამჟამად ცხოვრობენ საბჭოები. რა თქმა უნდა, საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოს ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ბრძოლა სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის შესრულებისათვის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის, აქტიური მხარდაჭერა ხალხის ინიციატივის ყველა გამოვლინებისა და სხვადასხვა სასარგებლო საზოგადოებრივი წამოწყებისათვის, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების საკითხები.

კომუნისტური პარტიის ხაზს — სახელმწიფო აპარატის სრულყოფის ხაზს რომ ახორციელებს და ცდილობს მიაღწიოს სიზუსტეს საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში, „იზვესტია“ მოწოდებულია აგრეთვე კრიტიკის ცეცხლი მიმართოს ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ, კონსერვატიზმისა და ჩამორჩენილობის წინააღმდეგ ცალკეული საბჭოთა დაწესებულებების მუშაობაში. ვფიქრობ, რომ „იზვესტიას“ შეუძლია ასრულებდეს და კიდევაც უნდა ასრულებდეს უფრო აქტიურ როლს საბჭოების ყველა რგოლის, მათი აღმასრულებელი კომიტეტების, მათი დეპუტატების მუშაობის გაუმჯობესებაში, მოწინავე გამოცდილების გაშუქებაში.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საბჭოების დეპუტატები თავიანთი მხრივ უფრო ფართოდ და სრულად გამოიყენებენ ჩვენი საბჭოთა პრესის ტრიბუნას მუშაობის გამოცდილების გაზიარებისათვის და საბჭოების საქმიანობის აყვანისათვის ჩვენი სახელოვანი დროის — ჩვენს დიად ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დროის მოთხოვნათა დონეზე.

ნიკოლოზ მანუკოვსკის მაგალითით

★ ★

ახალი ძვირფასი თაოსნობა

მთელ ჩვენს თვალუწვდენ სამშობლოში ცნობილია ვორონეჟელი სახელგანთქმული ტრაქტორისტის **ნიკოლოზ მანუკოვსკის** სახელი. იგი ხელით შრომის გამოუყენებლად სიმინდის მოყვანის ინიციატორია. ვორონეჟის ოლქის ნოვაიაუსმანის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც ნ. მანუკოვსკი მუშაობს, მთლიანად მექანიზებულია სამუშაოთა მთელი ციკლი — თესვიდან დაწყებული სიმინდის მოსავლის აღების ჩათვლით.

მაგრამ ნოვატორი ტრაქტორისტი ვერ ურიგდებოდა იმას, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზოგიერთ დარგში, განსაკუთრებით მეცხოველეობაში, წინანდებურად სჭარბობდა ხელით შრომა.

— ჩვენი მოვალეობაა, — ამბობდა მანუკოვსკი, — ვითავოთ კოლმეურნეობაში ყველა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, ხელით შრომა დავიყვანოთ მინიმუმამდე.

მანუკოვსკიმ თქვა, და კიდევაც მოჰკიდა საქმეს ხელი. ამის შესახებ ნაამბობი იყო გაზეთ „პრავდის“ 23 ნოემბრის ნომერში. როგორც კი გაეცნო მანუკოვსკის ამ ახალ ძვირფას თაოსნობას, წითელწყაროს რაიონის სოფელ არბილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის № 1 სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი გიორგი თინაშვილი მოეთათბირა თავის ბრიგადის მექანიზატორებს, არტელის გამგეობის წევრებს და პარტიის წითელწყაროს რაიკომის მუშაკებს. ამის შემდეგ გ. თინაშვილმა და მისი ბრიგადის მექანიზატორებმა ნ. მანუკოვსკის მაგალითისამებრ აიღეს ვალდებულება შვიდწლედის მეორე წლის დასაწყისიდანვე კოლმეურნეობაში განახორციელონ ყველა შრომატევადი სამუშაოს მექანიზაცია.

ქვემოთ ვაქვეყნებთ გ. თინაშვილას წერილს, რომლითაც იგი მიმართავს საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზატორებს მხარი დაუჭიროს ნ. მანუკოვსკის ახალ ძვირფას თაოსნობას, თავიანთ კოლმეურნეობებში დანერგონ ყველა შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია.

ვითავოთ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი კოლმეურნეობის იმ სატრაქტორო ბრიგადას, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, დასამუშავებლად მიმაგრებული აქვს 1.650 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწის ფართობი. ბრიგადის განკარგულებაშია: 5 „დტ-54“ მარკის ტრაქტორი, 1 „ბელარუსი“, პურეულის ასაღები 7 კომბაინი, სიმინდის ასაღები 1 კომბაინი, 6 სათესი მანქანა, კულტივატორები და სხვა მისაბმელი მანქანა-იარაღები. ამ პირველხარისხოვან მექანიზმებს მართავენ გამოცდილი მექანიზატორები შიო ნათობოვი, ალექსი ხუზაურაშვილი, დავით ბაიაშვილი და სხვები.

მიმდინარე წელს 1.200 ჰექტარზე გვეთესა საშემოდგომო ხორბალი. მთელი სამუშაო მექანიზმებით შევასრულეთ, თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 21,5 ცენტნერი ხორბალი მივიღეთ, ხოლო 150 ჰექტარი სიმინდი დავამუშავეთ ცნობილი უკრაინელი მექანიზატორის ა. გიტალოვის მეთოდით და ჰექტარზე 20 ცენტნერი მარცვალი მივიღეთ. ამას გარდა, ჩვენი ბრიგადის მექანიზატორებმა დაამზადეს 3.200 ტონა სილოსი, 300 ჰექტარზე დათესეს სანაწვერალო სიმინდი და მთლიანად მექანიზმებით დაამუშავეს, ამით კოლმეურნეობას ათასობით შრომადღე დაეზოგა.

მთელი დატვირთვით ვიყენებდით რა ტრაქტორებსა და მისაბმელ მანქანა-იარაღებს, მტკიცე აგროტექნიკურ ვადებში ჩავატარეთ საშემოდგომო ხვნა-თესვა. 922 ჰექტარზე დავთესეთ ხორბალი, 441 ჰექტარზე ქერი და 60 ჰექტარზე — ესპარცეტი. ამას გარდა, მზრალად მოვხანით 1.000 ჰექტარი.

ამ დღეებში, როცა ვმუშაობდით ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანა-იარაღების რემონტზე, გაგეთ „პრავდის“ საშუალებით გავეცანით ჩვენს ქვეყანაში ცნობილი ვორონეჟელი ტრაქტორისტის ნიკოლოზ მანუკოვსკის ახალ ძვირფას თაოსნობას. მან მეტად გაბედული ნაბიჯი გადადგა, როცა იკისრა თავის კოლმეურნეობაში ყველა შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია, რის შედეგადაც მიღწეულ იქნება საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგში ხელით შრომის მინიმუმამდე დაყვანა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. სწორედ ასე უნდა მოიქცეს შვიდწლედის ყველა ადამიანი. ნ. მანუკოვსკის ამ თაოსნობამ და ახალმა ინიციატივამ ჩვენი ბრიგადის მექანიზატორებიც აალაპარაკა.

— რა იქნება, რომ მივბაძოთ ვორონეჟელ მექანიზატორებს? — შემეკითხა ალექსი ხუზაურაშვილი, — როგორ ფიქრობ, ვერ შევძლებთ ყველა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას?

— შევძლებთ და მერე როგორ! — ჩემს მაგიერ უპასუხა დავით ბაიაშვილმა, — გამგეობამ მხარი დაგვიჭიროს, და დანარჩენი ჩვენზე იყოს.

იმავე დღეს მოველაპარაკეთ გამგეობაში, პარტორგანიზაციის მდივანსაც ვკითხეთ რჩევა, მეორე დღეს კი რაიკომიდან ჩამოსულ ამხანაგებთან ვითათბირეთ. ყველამ მოიწონა ჩვენი განზრახვა.

— რამ უნდა შეგიშალოთ ხელი, — გვითხრეს ამხანაგებმა, — ახლაც თითქმის ყველა სამუშაოთა 90 პროცენტს თქვენ ასრულებთ. თუ კი შეძლებთ, რომ კომპლექსური მექანიზაცია მეცხოველეობაშიც დანერგოთ, შეიძლება ახლავე მოგილოცოთ გამარჯვება!

ამ სიტყვებმა წაგვახალისა და ჩვენც ერთსულოვნად გადავწყვიტეთ: დავუჭიროთ მხარი ნიკოლოზ მანუკოვსკის წამოწყებას, შვიდწლედის მეორე წლს კოლმეურნეობაში ყველა შრომატევადი სამუშაო შევასრულოთ კომპლექსური მექანიზაციით.

ჩვენი ვალდებულებანი კონკრეტულად ასე ჩამოვაყალიბეთ:

მომავალი წლის გაზაფხულზე 200 ჰექტარზე დავთესოთ სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად, არ გავაკაროთ თოხი და მთელი ფართობი დავამუშაოთ მხოლოდ მექანიზმებით, სიმინდის მოსავალი ავიღოთ კომბაინებით, ჩვენივე საშუალებით გადავზიდოთ ის ფერმებსა და ბეღლებში;

მზესუმზირა დავთესოთ 250 ჰექტარზე კვადრატულ-ბუდობრივად, მის დამუშავებასა და აღებადაბინავებაზე გამოვიყენოთ მხოლოდ მექანიზმები; დავამზადოთ 3.000 ტონა სიმინდის სილოსი;

მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა სრული მექანიზაციის მიზნით:

ა) უმოკლეს დროში მეძროხეობისა და მეღორეობის ფერმებში მოვაწყოთ სიმინდის საღერღი, ჭარხლის სარეცხი და საჭრელი, ნამჯის საკუწი აგრეგატები;

ბ) მეძროხეობის ფერმაში გავაყვანოთ საბაგირო გზა საკვების მისაზიდად და ნაკელის გამოსატანად;

გ) ჩავატაროთ მოსამზადებელი მუშაობა ფერმაში მექანიზებული წველის დასანერგავად.

მომავალ წელს ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ წლის ბოლოსათვის მთლიანად დავამთავროთ ჩვენს კოლმეურნეობაში ყველა შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია.

ძვირფასო ამხანაგებო, სოფლის მეურნეობის მექანიზატორებო! ჩვენ ყველანი დიადი ამოცანების წინაშე ვდგავართ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომელიც მუშაობას შეუდგება 22 დეკემბერს, შეაჯამებს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის დღემდე გაწეული მუშაობის შედეგებს და დასახავს ახალ გრანდიოზულ ამოცანებს მომავლისათვის. ჩვენ, მექანიზატორებს, დიდი მუშაობა მოგველის. ამ მხრივ ერთ-ერთი სერიოზული ამოცანა იქნება კოლმეურნეობაში ყველა სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის განხორციელება. ამიტომ მოგიწოდებთ ჩემი ბრიგადის მექანიზატორთა სახელით მიბაძოთ ჩვენს მაგალითს — მხარი დაუჭიროთ ნიკოლოზ მანუკოვსკის ძვირფას თაოსნობას, აქედანვე გაშალოთ ბრძოლა თქვენს კოლმეურნეობაში ყველა შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციისათვის.

გიორგი თინაშვილი,
წითელწყაროს რაიონის სოფელ არბილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის № 1 სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის VII ყრილობაზე

მოსკოვიდან 29 ნოემბერს „ტუ-104“ თვითმფრინავით ბუდაპეშტში უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის VII ყრილობაზე გაემგზავრა სკკპ დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით. დელეგაციაში შედიან: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, სკკპ სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. პ. კირილენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, უკრაინის კომპარტიის სტალინოს საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. პ. კაზანეცი, სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. ნ. დემიჩევი, სკკპ ქალაქ მოსკოვის ლენინგრადის რაიკომის მეორე მდივანი ე. ს. ნაუმოვა. დელეგაციაში შედის აგრეთვე საბჭოთა კავშირის ელჩი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ტ. ფ. შტიკოვი.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს ამხანაგებმა ა. ბ. არისტოვმა, ლ. ი. ბრეჟნევმა, კ. ე. ვოროშილოვმა, ნ. გ. იგნატოვმა, ა. ი. კირიჩენკომ, ფ. რ. კოზლოვმა, ო. ვ. კუუსინენმა, ნ. ა. მუხიტდინოვმა, მ. ა. სუსლოვმა, ე. ა. ფურცევამ, ნ. მ. შვერნიკმა, პ. ნ. პოსპელოვმა, ა. ნ. კოსიგინმა, დ. ს. პოლიანსკიმ.

დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა, მოსკოვისა და ოლქის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეებმა და პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა, აგრეთვე უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა სსრ კავშირში პეტერ კოშმა და საელჩოს თანამშრომლებმა. (საკდესი).

ბუდაპეშტი, 29 ნოემბერი. (საკდესი). უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით უნგრეთის დედაქალაქში უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის VII ყრილობაზე ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი.

დელეგაციაში შედიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი სკკპ სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. პ. კირილენკო, უკრაინის კომპარტიის სტალინოს საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. პ. კაზანეცი, სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. ნ. დემიჩევი, სკკპ ქალაქ მოსკოვის ლენინგრადის რაიკომის მეორე მდივანი ე. ს. ნაუმოვა, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უნგრეთში ტ. ფ. შტიკოვი.

ფერიხედის აეროდრომი, რომელზეც დელეგაცია ჩამოვიდა, საღღესასწაულოდ არის გაფორმებული. ქარი არხევს უნგრეთის, საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნების სახელმწიფო ალმებს. აეროპორტის შენობის შესასვლელთან მოჩანს ლოზუნგები ექვს ენაზე: „მხურვალე სალამი მოძმე ქვეყნების დელეგატებს“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის შესახვედრად აეროდრომზე მოვიდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ფერენც მიუნიხი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები დიერდ მარაშანი, დიულა კალაი, ლაიოშ ფეჰერი, იენე ფოკი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ბუდაპეშტის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი შანდორ გაშპარი, უნგრეთში სსრ კავშირის საელჩოს დიპლომატიური შემადგენლობა, დედაქალაქის საწარმოთა და დაწესებულებათა წარმომადგენლები.

14 საათი და 25 წუთია. ვერცხლისფერი „ტუ-104“ დაეშვა აეროპორტის შენობასთან. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ხელმძღვანელები და სხვა შემხვედრი პირები მიდიან თვითმფრინავთან და გულთბილად მიესალმებიან სტუმრებს, რომლებიც თვითმფრინავიდან ჩამოდიან. ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი გადაეხვია და გადაკოცნა იანოშ კადარი, ფერენც მიუნიხი.

უნგრელმა და საბჭოთა პიონერებმა ნ. ს. ხრუშჩოვსა და დელეგაციის სხვა წევრებს მიართვეს ვარდებისა და მიხაკის თაიგულები. დელეგაციის წევრები გაემართნენ მშრომელთა წარმომადგენლებისაკენ, რომლებიც აქ მოვიდნენ საბჭოთა სტუმრების შესახვედრად. გაისმის შეძახილები: „ვაშა“ და „ელიენ“. ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი უპასუხებს გულთბილ მისალმებებზე.

შემდეგ ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი და იანოშ კადარი ჩასხდნენ მანქანაში და წავიდნენ დელეგაციისათვის მიჩენილ რეზიდენციაში.

ბუდაპეშტი, 29 ნოემბერი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი და საბჭოთა პარტიული დელეგაციის წევრები, რომლებიც დღეს დღისით ჩამოვიდნენ ბუდაპეშტში უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის VII ყრილობაზე, საღამოს იყვნენ ვახშამზე, რომელიც უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების პარტიული დელეგაციების პატივსაცემად გამართა სასტუმროში მარგიტის კუნძულზე.

ვახშამმა გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა.

გაიხსნა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის VII ყრილობა

ბუდაპეშტი, 30 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ბუდაპეშტის მშენებელთა კულტურის სასახლის შენობაში მუშაობა დაიწყო უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის VII ყრილობამ.

ყრილობა განიხილავს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშს, დირექტივებს ეკონომიური განვითარებისა და მეორე ხუთწლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმის მომზადების შესახებ, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის წესდებაში ცვლილებათა შეტანის საკითხს და მთელ რიგ სხვა საკითხებს.

დღის წესრიგის პირველ პუნქტზე უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება გააკეთა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა იანოშ კადარმა.

ყრილობას ესწრებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით, აგრეთვე სხვა მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციები.

სამოქმედო ჰორიზონტი

თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის კოლექტივის მიმართვის პასუხად თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელო ქარხანაში კონკრეტული პროგრამა დაისახეს ელექტროენერგიის ყაირათიანი, რაციონალური გამოყენებისათვის.

საწარმოში დიდძალი ელექტროენერგია იხარჯება გათბობაზე, მაშინ როცა შეიძლება სხვა სახის სათბობის გამოყენება. მანქანათმშენებლებმა გადაწყვიტეს ბოლო მოუღონ ასეთ ფაქტს, სამუდამოდ აღმოფხვრან შენობის გასათბობად ელექტროენერგიის ხარჯვა, წელსვე კაპიტალურად შეაკეთებენ საინსტრუმენტო საამქროს ელექტროქსელს.

მანქანათმშენებლებმა მკაცრი კონტროლი დააწესეს ჩარხების, დანადგარების მუშაობის უზრუნველყოფისათვის ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვაზე. მიზნად დაისახეს აღკვეთონ ჩარხების უქმად მუშაობა, დეტალები ჩარხებზე დასამუშავებლად მიამაგრონ მათი სიმძლავრის შესაბამისად, ისე რომ მძლავრი ჩარხი არ ცდებოდეს მცირე დეტალების დამუშავებაზე.

ხშირად მექანიკურ საამქროში დასამუშავებლად მიდის ისეთი სხმული, რომლისაგან სასურველი ფორმის დეტალის მისაღებად დიდი შრომა და დიდძალი ელექტროენერგია იხარჯება. ამის თავიდან ასაცილებლად მანქანათმშენებლებმა გადაწყვიტეს სხმულის ფორმა რაც შეიძლება მიუახლოონ დეტალებს. ამას ცხელი დატვიფრვის გამოყენებით მიაღწევენ.

ქარხნის კოლექტივი ერთსულოვნად შეუდგა ბრძოლას ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენების საქმეში შემუშავებულ კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

სურათზე (მარცხნიდან): თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის მთავარი ენერგეტიკოსი გ. კარსაულიძე, მთავარი ტექნოლოგი ა. ბალათურია, ელექტრომონტიორები ა. ვინიკი, ა. ბაუალია, სარემონტო-მექანიკური საამქროს უფროსი ი. ცაგარელი განიხილავენ ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენების ღონისძიებებს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

პარტიულ კონფერენციებზე

ღრმა მდინარეება

პატარა მდინარეა ნარეკვავი, გზაფხულზე-თებში თოვლი დნობას რომ იწყებს, მაშინ აიმღვრევა ხოლმე, მაგრამ ზაფხულში კოჭებამდეც კი არ სწვდება ადამიანს. მიუხედავად ამისა, ნარეკვავს ბევრი სიკეთე მოაქვს ხალხისათვის, პაპანაქებაში იგი ვაზის, ხეხილის, ბალჩეულ-ბოსტნეულის სიცოცხლის დედაა.

ამ ზაფხულს კი...

ამის შესახებ ილაპარაკა მცხეთის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე სოფელ წიფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შალვა პაპავაძემ:

— ისეთი ნათესები გვქონდა, ავ თვალს არ ენახვებოდა, თვითეულ ჰექტარზე 5 ტონაზე მეტი სიმინდი და 10 ტონამდე ბოსტნეული უნდა მიგვეღო, მაგრამ 18 მაისს გადმოვარდა ნარეკვავი და ყველაფერი წალეკა, შევეცადეთ გამოგვესწორებინა მდგომარეობა, ზოგი რამ ხელახლა დავთესეთ, არაფერმა უშველა. 3 ივნისს მდინარემ კვლავ მოიგიჟიანა თავი...

ამას დავუმატოთ გამუდმებული უამინდობა, და ცხადი გახდება, რა პირობებში შრომობდნენ წელს მცხეთელი კოლმეურნეები. მით უფრო სასიხარულოა, რომ მათ შემოქმედებითს გარჯას უქმად არ ჩაუვლია.

ერთი რამ არის აღსანიშნავი. მცხეთელი კომუნისტები სრულიადაც არ ცდილან თავიანთ ზოგიერთი წარუმატებლობა მარტოოდენ არახელსაყრელი ამინდებით აეხსნათ. ისინი მოპოვებულს შეფასებას აძლევდნენ კრიტიკული თვალსაზრისით, პარტიის მიერ დასახული ამოცანების პოზიციებიდან. კონფერენციაზე უმთავრესად ლაპარაკი იყო ნაკლოვანებებზე, მათი გამოსწორების კონკრეტულ გზებზე. კრიტიკული იყო რაიკომის პირველი მდივნის ამხ. ზ. მირზაიშვილის საანგარიშო მოხსენება. ამან განაპირობა დელეგატთა გამოსვლების შინაარსიც.

მაგრამ არ შეიძლება გაკვრით მაინც არა ვთქვათ რაიონის წარმატებებზე, ზღუდეებზე, რომლებიც აღებულია პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, კოლმეურნეთა თავდადებული შრომით.

წელს რაიონში 3 ათასი ჰექტარი ნათესის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 25,3 ცენტნერი სიმინდი მარცვლად. უფრო მეტი მოსავალი მოიყვანეს ცალკეულ კოლმეურნეობებში. მაგალითად, ძალისში სიმინდის საშუალო მოსავალმა ჰექტარზე 38,5 ცენტნერს მიაღწია, ნიჩბისში — 35 ცენტნერს, ჩარდახში — 32 ცენტნერს, გალავანში — 31 ცენტნერს.

— რაიონის კოლმეურნეობებისათვის, — თქვა სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროსმა ს. თოხვაძემ, — სრულიადაც არ არის საკმარისი 3 ათასი ჰექტარი სიმინდი. საჭიროა ეს რიცხვი 5 ათასამდე ავიყვანოთ. ამასთან ყოველ-მხრივი გავრცელების ღირსია ჩარდახის კოლმეურნეობის მაგალითი, სადაც უკვე განხორციელდა სიმინდის მოყვანის სრული მექანიზაცია.

— მაინც რა არის მიზეზი, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობაში სიმინდის დაბალი მოსავალი მოჰყავთ?

ამაზე პასუხი თვითონ დელეგატებმა გასცეს:

— ის, რომ ზოგ კოლმეურნეობაში თესვა გააჭიანურეს, ნათესებში მინერალური სასუქი არ შეიტანეს, მზრუნველობა მოაკლეს. შემდგომში ამის შეწყნარება აღარ შეიძლება. უსიმინდოდ ხომ წარმოუდგენელია პირუტყვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. უკანასკნელ ექვს წელიწადში რაიონში საფურაჟე ძროხის წველადობა ხუთჯერ გაიზარდა. ნაცვლად 1953 წელს მიღებული 271 კილოგრამისა, მიმდინარე წლის ათ თვეში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 1.309 კილოგრამი რძე. რა თქმა უნდა, ამის მიღწევა უსიმინდოდ არ შეიძლებოდა.

რაიონის ეკონომიკაში საპატიო ადგილი უჭირავს ვაზს. დელეგატებმა გულისტკივილით აღნიშნეს, რომ ნატახტარში, მუხრანსა და ზოგიერთ სხვა სოფელში ვაზს არ მოუარეს, დროზე არ გამოხნეს, არ უწამლეს, რის შედეგად ვენახს ბალახი მოერია, ჭრაქმა დაახნიანი მოსავალიც დაბალი მიიღეს.

ისმება კითხვა, სად იყვნენ რაიონის ხელმძღვანელები? კაცმა რომ თქვას, მათ ვერავინ უსაყვედურებს მსჯელობისგან მოწყვეტას, ისინი ხშირად დადიან კოლმეურნეობებში, ფერმებში, ცალკეულ ბრიგადებში. მაგრამ ამას ხშირ შემთხვევაში შედეგი არ მოსდევს. რატომ? იმიტომ, რომ ორგანიზატორული მუშაობის წარმატება წარმოუდგენელია, თუ სათანადო მომთხოვნელობა არ არის.

სოფელ საგურამოს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დავით ბედუკაძემ კონფერენციაზე თქვა:

— ჩვენთან იყო პირუტყვის სიკვდილიანობის შემთხვევები. დანაშაგეთა საკითხი უნდა განხილულიყო პარტიის რაიკომის ბიუროზე, მაგრამ იმდენი დამცველი გამოუჩნდათ, რომ მათი დასჯა არ მოხერხდა. ასეთ პირობებში ზოგი მუშაკი მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობას არა გრძნობს.

არა ერთი საყვედური მოუსმენიათ რაიონში მისაქციელის, ნატახტარისა და მუხრანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობების თავმჯდომარეების ახალაშვილის, მანქანაშვილისა და ბურდულის მისამართით. მაგრამ მოწოდებებმა საქმე ვერ უშველა. ბოლოს, როცა კოლმეურნეობები დაქცევის პირამდე მიიყვანეს, ისინი მხოლოდ მაშინ გათავისუფლეს სამუშაოდან.

მშვიდად გაწოლილა მდინარეების ქსანის, ნარეკვავისა და არაგვის სანაპიროებზე მუხრანის თვალუწვდენელი ველი. გადის წლები, და იგი თანდათანობით კმაყლუდ ქალწულს ემსგავსება, რომელსაც ათასგვარი სამკაული ამშვენებს. უკანასკნელ წლებში მუხრანის ველს მშვენიერი სარტყელი შემოარტყეს. ეს არის სარწყავი არხი, რომელიც წყლით უზრუნველყოფს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბაღ-ვენახებს, ხიმინდის ნათესებს. გავა დრო რაიონს შემატება კიდევ ერთი ახალი არხი — საგურამოს არხი, რომლის მშენებლობის დაჩქარება მოითხოვეს დელეგატებმა.

კომკავშირული ორგანიზაციების ნაყოფიერ საქმიანობაზე ილაპარაკა კომკავშირის რაიკომის მდივანმა ირა რუხაძემ. მან თქვა:

— რაიონის ახალგაზრდობის სახელით ვალდებულებას ვკისრულობთ მეღორეობის ყველა ფერმა გამოვაცხადოთ ახალგაზრდულ ფერმებად, უახლოეს ხანში წამოვწიოთ მეურნეობის ეს დარგი, ჩვენი ძალებით ავაგოთ საგურამოს საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკა, ამ შემოდგომაზე დავრგოთ 70 ათასი ძირი მწვანე ნარგავი.

რაიონის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მნიშვნელოვან საკითხებზე კონფერენციაზე ილაპარაკეს დელეგატებმა ვ. ბერუჩაშვილმა, ა. ირმაშვილმა, გ. ბაშარულმა, ს. ითრდანიშვილმა, ა. წერეთელმა, ბ. ხატაშვილმა, ო. თათარაშვილმა და სხვებმა. მათ ხაზი გაუსვეს იმას, რომ დიადი შვიდწლედი თვითეული ადამიანისაგან მოითხოვს შემოქმედებითი ძალების მოლიანად დაძაბვას, კეთილსინდისიერ მუშაობას.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარემ ამხ. მ. მეგრელიშვილმა.

• • •

შედგა ახლად არჩეული რაიკომის პლენუმი, რომელმაც პარტიის მცხეთის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ზ. მირზაიშვილი, მეორე მდივნად — ამხ. გ. მჭედლიშვილი, მდივნად — ამხ. ი. წიკლაური.

ა. თოდუაძე.

ეს კარგი საქმეა!

ფართო, ნათელ და სუფთა საამქროში 24 უნივერსალური ახალი საკერავი მანქანა დგას. ცალკეა ღილების დასაკერებელი, ღილკილოების ამოსახვევი და სხვა სპეციალური მანქანები. აქ ერთდროულად შეიძლება ორმუშაოს ოცდაათმა მკერავმა. მუშაობენ კიდეც. ყოველი კვირის პირველ ორ დღეს აქ ნახავთ ხოლმე ლურჯხალათიან, თეთრთავსაფრიან ქალიშვილებს. მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ გამხდარან მკერავები. ყველანი მოსწავლეები არიან. ამასთან თანაკლასელები — ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლის მეცხრეკლასელები.

აღნიშნული სკოლა (დირექტორი ქ. ნადირაძე) ახალი სასწავლო წლიდან გადავიდა საწარმოო სწავლებაზე და, ცხადია, მოსწავლეები რამდენსამე დღეში ვერ შეისწავლიდნენ მკერავის რთულსა და საინტერესო პროფესიას. ეს კი არა, თვეებიც არ კმარა. ზუსტად სამი წელია საჭირო იმისათვის, რომ მოსწავლე გოგონებმა სიმწიფის ატესტატთან ერთად კვალიფიციური მკერავის პროფესიაც მიიღონ.

ქუთაისის კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში (დირექტორი კ. აფრიდონიძე) **სანიმუშოდ მოემზადნენ მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისათვის.** მზრუნველ ხელს ყველაფრისათვის თავისი შნო და ლაზათი მიუცია. შესასვლელში კამაზი წარწერა გვამცნობს, რომ აქ საწარმოო სწავლების საამქროა მოთავსებული. შედიხართ საამქროში, და შიგ მარტოოდენ გაქათქათებული მანქანები როდი იპყრობენ ყურადღებას. კედლებიც კი თავისკენ გიწვევენ. აგერ შინაგანაწესი, იქ ოპერაციათა შესრულების ამსახველი ნიმუშების გამოფენა, პლაკატები ტექნიკური უსაშიშრობის წესებზე, სამუშაო ადგილის მოწყობაზე და ა. შ.

და განა მარტო საწარმოო სწავლების საამქრო დაუხვდათ ასე მოწყობილი მეცხრეკლასელებს?

აქვეა გამოყოფილი ასეთივე ფართო და ნათელი ოთახი თეორიული მეცადინეობისათვის, სადაც მოსწავლეები საწარმოო სწავლების პროგრამით გათვალისწინებულ მასალა ს სწავლობენ. უნდა ითქვას, რომ ასეთი საკლასო ოთახი ბევრ სკოლას შეშურდება. აქ თექვსმეტი ახალი მერხი და ორი დაფა დგას. ცალკე მოწყობილია გარდერობი. თვითეულ მოსწავლეს გვარისა და სახელის წარწერით მიჩენილი აქვთ თითო კარადა.

საწარმოო სწავლებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასთან ერთად ფაბრიკის ხელმძღვანელობას არ დავიწყებია მთავარი — **სწავლების ხარისხი.** საწარმოო სწავლების ხელმძღვანელად და ინსტრუქტორ - პედაგოგებად შერჩეული არიან და უკვე მუშაობენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები — ფაბრიკ ი ს მთავარი ინჟინერი ს. უგლავა (სწავლების ხელმძღვანელი). ინჟინერ-ტექნოლოგი ე. ამირანაშვილი, ინჟინერი ო. ბრეგაძე, კერვის ოსტატი ვ. კვირნაძე, ოსტატი დ. ბაზაძე, მექანიკური საამქროს უფროსი პ. რუხაძე, ფაბრიკის მთავარი ენერგეტიკოსი ვ. დიდიძე.

დიდი დრო არ გასულა სწავლების დაწყებიდან, მაგრამ უკვე თვალში გეცემათ ორგანიზებულობა, სკოლისა და საწარმოო სწავლების პედაგოგთა ერთობლივი მიზანსწრაფული მუშაობა, მოსწავლეთა ცხოველი ინტერესი პროფესიის დაუფლებისადმი. სწავლაში წარჩინებულნი შრომაშიც დაწინაურდნენ. სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ცისანა ჩირგაძე და კომკავშირელი ზაირა კოხრეიძე პირველი კლასიდან ხუთოსნები არიან. ასევე კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს მათ ფაბრიკაში მანქანათმცოდნეობის თეორიული და პრაქტიკული კურსის პირველსავე მეცადინეობებზე. სკოლასა და საწარმოში ბევრითი სწავლით გამოირჩევიან აგრეთვე ნუკრი ისაკაძე, თინა ბურკაძე, ლენა ალიკპეროვა და ნონა კაპეტიძე. საგულისხმოა, რომ ამ უკანასკნელის მამა ალექსანდრე კაპეტიძე ამავე ფაბრიკაში ზეინკლად მუშაობს. იგი სიხარულით შეხვდა საწარმოო სწავლებაზე გადასვლას და განაცხადა:

— ეს კარგი საქმეა, დროულია! სკოლის დამთავრების შემდეგ ჩვენი შვილები აქტიურად ჩაებმებიან შრომაში, საწარმოო საქმიანობაში, მათთვის უცხო **აღარ იქნება მანქანები, საწარმოო ცხოვრება. ჩვენი მოვალეობაა ყოველმხრივ დავეხმაროთ სკოლას, ფაბრიკას შრომითი აღზრდის უკეთ მოწყობაში.**

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკამ ყველა პირობა შექმნა საწარმოო სწავლების მკვიდრ ნიადაგზე დაყენებისათვის. და ეს შემთხვევითი როდია. ამას წინ უძღვის კარგი, შესანიშნავი ტრადიცია. ჯერ-ერთი, ფაბრიკის კოლექტივი აგერ ხუთი წელიწადია შეფობას უწევს სკოლას. ამ ახალი სასწავლო წლისათვის საწარმომ იკისრა და კიდეც უზრუნველყო სკოლის შენობისა და ინვენტარის რემონტი. მეორე, სკოლა ხშირად აწყობს მოსწავლეთა საწარმოო ექსკურსიებს, მათ შეხვედრას ფაბრიკის წარჩინებულ ადამიანებთან, უნერგავს მათ შრომისადმი სიყვარულს. ამით აიხსნება, რომ ახლა ამ სკოლის ოცზე მეტი კურსდამთავრებული მუშაობს ფაბრიკაში.

ქუთაისის 21-ე სკოლისა და კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის ურთიერთობა იმის მკაფიო მაგალითია, თუ როგორი მტკიცე მეგობრობა, საქმიანი კავშირი უნდა სუფევდეს სკოლასა და საწარმოს შორის ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ამოცანის განხორციელებისათვის.

შ. შალვაძე.

• • •

სურათზე: ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლის მეცხრეკლასელები კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის საწარმოო სწავლების საამქროში. შუაში — საწარმოო სწავლების ინსტრუქტორ-პედაგოგი, კერვის ოსტატი ვ. კვირნაძე მოსწავლეებს ესაუბრება ტანსაცმლის კერვის ტექნოლოგიის შესახებ.

ფოტო გ. გერსამიასი.

ფაბრიკა—გიგანტი

მიათურიდან ხაჩხერეში წამსვლელთა ყურადღებას იპყრობს მდინარ ყვირილის მარცხენა ნაპირზე აღმართული თვრამეტსართულიანი შენობა. იგი მაღარო „ახალი ითხვისის“ მარგანეცის გამამდიდრებელი ფაბრიკაა, რომელიც ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით არის აგებული. მეხუთე წელია მწყობრში ჩადგა ფაბრიკა-გიგანტი. მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში კვლავ წინ წავიდა მადნის გამდიდრების ტექნიკა და ფაბრიკაში ზოგი რამ უკვე მოძველებული აღმოჩნდა. ამიტომ არის, რომ ფაბრიკის კოლექტივი ცდილობს არ ჩამორჩეს ტექნიკურ პროგრესს, დანერგოს ახალი ტექნიკა და მოწინავე ტექნოლოგია.

მადნის გამდიდრებაში ახალი სიტყვაა უახლესი კონსტრუქციის ელექტრომაგნიტური სეპარატორები, რომელთა დანერგვაც საგრძნობლად ზრდის პირველი ხარისხის მარგანეცის გამოსავალს. ფაბრიკაში უკვე დამონტაჟდა 13 ახალი სეპარატორი. მალე მათი რიცხვი 24-მდე გაიზრდება.

ფაბრიკაში იდგმება მაღალი სიხშირეს ოთხი სალექი მანქანა, რომლებიც გაზრდის 50-პროცენტიანი კონცენტრატის გამოშვებას.

ინჟინრების დ. ჩიხელიძისა და ვ. გეწაძის წინადადებით ფაბრიკაში მოლიანად გადაკეთდა მოძრავცხრილიანი სალექი მანქანის ამძრავი ნაწილი. იგი შეცვლილ იქნა ახალი კონსტრუქციის დანადგარით.

მაგრამ უველაზე მნიშვნელოვანი სიახლეა მოძრავცხრილიანი სალექი მანქანა, რომელსაც მადნის წინასწარი გამდიდრებისათვის იყენებენ. იგი მადანს წინასწარ აშორებს ფუჭ ქანს. ამ მანქანის მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რომ მწვავედ დგას ღარიბი მადნების გამდიდრების პრობლემა. ეს საკმაოდ რთული მექანიზმი მოიწყო ინჟინერ-გამამდიდრებლის კ. ჭინჭველაშვილისა და ა. გაბეჩავას წინადადებით, ხოლო დამზადდა მარგანტრესტის მთავარ მექანიკურ სახელოსნოში ინჟინერების დ. ჩიხელიძის, ვ. გეწაძის და მექანიკური საამქროს უფროსის ი. კაპანაძის ხელმძღვანელობით.

აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებით ფაბრიკის თვიური წარმადობა 7.000 ტონით გაიზარდა, ხოლო პირველი ხარისხის მადნის გამოშვება თითქმის 3.000 ტონით. (საქ. კორ.).

ალავერდელი სტუმრები ზესტაფონში

ხამ დღეს იმყოფებოდა ზესტაფონის რაიონში სომხეთის სსრ ალავერდის რაიონის მშრომელთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა სომხეთის კპ ალავერდის რაიკომის მეორე მდივანი ა. ბალაანი. დელეგაციის მიზანი იყო დაეთვალიერებინა რაიონის სამრეწველო საწარმოები, კოლმეურნეობები, გასცნობოდა ქართველი მეგობრების მუშაობის გამოცდილებას და შეემოწმებინა ამ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა, რომელიც რამდენიმე წელია ტრადიციულად გრძელდება ამ ორი რაიონის მშრომელებს შორის.

სტუმრები გაეცნენ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშაობის. მათზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა დახურულ ღუმელზე ლითონის გამოდნობის ახალმა მეთოდმა, რომელიც წელს დაინერგა ქარხანაში. დათვალიერეს არგვეთის ღვინის ქარხნის მშენებლობა, რაიონის კოლმეურნეობები. მეორე ხვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში შეამოწმეს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა, შეიტყეს, რომ მათი ქართველი მეგობრები ნაყოფიერად მუშაობენ შვიდწლედის პირველ წელს. განსაკუთრებით მოეწონათ კოლმეურნეობაში შრომის აღრიცხვისა და დისციპლინის მდგომარეობა.

ალავერდელი სტუმრები მოუთმენლად ელოდნენ მათი რაიონის თანამოსახელე სოფელში — ალავერდის ორკონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მისვლას. აღტაცებული დარჩნენ, ამ სოფლის მიღწევებს რომ გაეცნენ.

ბევრი რამ საინტერესო ნახეს ხომეტმა მეგობრებმა ზესტაფონში და დიდი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ თავიანთ მშობლიურ ალავერდში.

ო. ნიქაბაძე,

ზესტაფონის რაიონულ გაზეთ „ლენინელის“ რედაქტორის მოადგილე.

ქალიშვილის ოცნება

გეჯითად სწავლა, გულდაგულ შრომა — აი რა არის ამ ახალგაზრდა ქალიშვილის მთავარი მისწრაფება. მართალია, ერთი წლის წინათ დატოვა სკოლის მერხი, მაგრამ სწავლისათვის თავი არ დაუნებებია. სიმწიფის ატესტატი მიიღო ნათელა ზუბიაშვილმა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩააბარა გამოცდები. ნათელა ახლა პირველი კურსის სტუდენტია, თავისუფალ საათებს წიგნების კითხვას და პროგრამით გათვალისწინებული საგნების მომზადებას ანდომებს. ნათელას ოცნებაა გახდეს ინჟინერი.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ნათელა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივშიც. იგი შესანიშნავად დაეუფლა მჭარგველის საინტერესო ხელობას, აბრეშუმის ქსოვილზე ფაქიზად ამოქარგავს ქართული ჩუქურთმები. საერთო მოწონებას იმსახურებს მისი მოქარგული თავშლები, სუფრები. ხარისხოვანია ყველა ნახელავი, რომელსაც ეს შრომისმოყვარე გოგონა აკეთებს ფაბრიკაში. იგი ყოველთვიურად საწარმოო გეგმას 170 პროცენტით ანაღდებს.

აქტიური კომკავშირელია ნათელა და როგორც ასეთი ყოველთვის ცდილობს მოწინავე იყოს კომკავშირულ დავალებათა შესრულებაშიც. რვა თვეა, რაც წარმოებაში მუშაობს ეს გოგონა. თავისი ბეჯითი შრომით მან მთელი საამქროს სიყვარული დაიმსახურა.

სურათზე: კომკავშირელი ფეიქარი ნათელა ზუბიაშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

შვიდწლედის ოლიმპიადაზე

წიწილები და წიგნები

ადამიანის ცხოვრებაში არის დაუვიწყარი დღეები, რომლებიც ტკბილ მოგონებად გაყვება მთელი სიცოცხლის მანძილზე.

კორდელია ბუთლიაშვილის ასეთი დღეები იყო 1958 წლის ზაფხული, როცა მან სიდნაღის რაიონის დაბა წნორის საშუალო სკოლა დაამთავრა და დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე პირველი ნაბიჯების გადასადგმელად ემზადებოდა.

კომკავშირელმა ქალიშვილმა სიმწიფის ატესტატით სოფელ ვაქირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმას მიაშურა.

— მე ისიც მინდა, რომ ჩვენს ფერმას მალე მექათმეობის კომკავშირული ფერმა დაერქვას, — საიდუმლოსავით გაგვამეღვნა გოგონამ.

კორდელიას ცალკე ოთახი აქვს, ნათელი, ფართო, ელექტრო შუქით გაჩირაღდნებული. სამუშაო რომ დამთავრდება, კორდელია ღამის 12 საათამდე ჩაპკირკატებს წიგნებს. იგი ხომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების I კურსის სტუდენტია. წიწილები და წიგნები— აი მისი მეგობრები, მისი საზრუნავი!

ბ. გერიაშვილი.

150 პროცენტით შეასრულა და 250 შრომადღე გამოიმუშავა. წელს კი მის საკოლმეურნეო წიგნაფში უკვე 300 შრომადღე წერია.

მომდინარე წელს მოპოვებულ მიღწევებზე თვით კ. ბუთლიაშვილი გვიამბობს:

— წელს ინკუბატორიდან გამოვიყვანეთ 5.000 ფრთა წიწილა. პირადად მე 1.500 ფრთას ვუვლიდი, ხოლო დანარჩენებზე ფერმის სამ ძველ და გამოცდილ მუშაკთან ერთად ზრუნავდნენ ჩემი ამხანაგები, კომკავშირელი მექათმეები ნინო ძამიაშვილი და ლალი ხუსიტაშვილი, რომლებიც წელს სიმწიფის ატესტატით მოვიდნენ ფერმაში. ინკუბატორიდან გამოყვანილი წიწილები დაიზარდნენ, მალე კვერცხის დებაც დაიწყეს და ახლა მათგან 7.500 ფრთა წიწილა მივიღეთ. ჩვენი მიზანია ეს წიწილებიც კარგად გავზარდოთ, კვერცხის მოღებისა და ფრინველის მომრავლების გეგმა 200 პროცენტით შეავსრულოთ.

— მე ისიც მინდა, რომ ჩვენს ფერმას მალე მექათმეობის კომკავშირული ფერმა დაერქვას, — საიდუმლოსავით გაგვამეღვნა გოგონამ.

პირველ ადგილზე რესპუბლიკაში

მესამე კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით ფოთის წიხქვილკომბინატი პირველ ადგილზე გამოვიდა რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მის კოლექტივს გადაეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურპროდუქტების სამმართველოსა და სოფლის მეურნეობის მუშაობა და მოსამსახურეთა პროფკავშირის გარდამავალი წითელი დროშა.

ხაწარმოს კოლექტივმა იკისრა ვალდებულება ვადაზე ნ დღით ადრე შეასრულოს წლიური გეგმა. (საქდისი).

იკისრეს— შეასრულეს

ხაჩხერის რაიონის სოფელ სხვიტორის აკაკი წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მუშაკები მაღალი შრომითი მაჩვენებლებით ხვდებიან სკკ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმს. მათ დიდი გადაჭარბებით შეასრულეს პირუტყვის სულადობისა და წველადობის მიმდინარე წლის გეგმები. 15 ნოემბრისათვის ერთ ძროხაზე მიღებულია 1.810 კილოგრამი რძე, რაც 310 კილოგრამით აღემატება გეგმით გათვალისწინებულს. მოწინავე მწველავებმა მ. ზამბახიძემ და მ. ბერდელიძემ, რომლებიც 10-10 ძროხას უვლიან, 1.900 კილოგრამი რძე მოწველეს თვითეულზე.

ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე წარმოებულია 470 ცენტნერი რძე ანუ წლიურ გეგმაზე 166 ცენტნერით მეტი, და 72 ცენტნერი ხორცი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 59,8 ცენტნერისა. ამასთან მნიშვნელოვნად შემცირდა რძისა და ხორცის თვითღირებულება. დიდი გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმები. მარტო მეცხოველეობიდან მიღებულა ფულადი შემოსავალი წელს 500 ათას მანეთს გადააჭარბებს.

კოლმეურნეობაში დიდი ყურადღება ექცევა მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის განმტკიცებას. თვითეული ძროხისათვის დამზადებულია 12 ტონაზე მეტი სილოსი. დიდი რაოდენობით არის მომარაგებული აგრეთვე კონცენტრირებული, უხეში საკვები და ძირხვენები.

სხვიტორელებმა გადაწყვიტეს წლის ბოლომდე თვითეული ძროხიდან კიდევ მიიღონ 100 კილოგრამი რძე.

ხ. ლაშხი.

სიტყვით პირუტყვს ვერ გამოკვეგავ

წელს, ათ თვეში წყალტუბოელმა მეცხოველეებმა მნიშვნელოვნად გაადიდეს რძისა და ხორცის წარმოება. დღითიდღე მატულობს იმ კოლმეურნეობათა და მოწინავე მწველავთა რიცხვი, რომლებმაც მთლიანად და გადამეტებით შეასრულეს როგორც წველადობის წლიური გეგმა, ისე ამ დარგში ნაკისრი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები.

სოფელ ტყაჩირის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძმა“ და პატრიკეთის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ ვადაზე ორი თვით ადრე შეასრულეს წველადობის წლიური დავალება, ხოლო რიონის კიკვიძის სახელობის, გუმათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობისა და სოფელ ჟონეთის კოლმეურნეებმა აღებული ვალდებულებებიც გაანაღდეს და პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შესახვედრად იკისრეს ამ პერიოდში ვალდებულების გადამეტებით თვითეულ საფურაჟე ძროხაზე კიდევ მიიღონ სულ მცირე 250-300 კილოგრამი რძე.

რაიონის კოლმეურნეობებმა წელს გადამეტებით შეასრულეს სილოსის ჩადების დავალება. ახლა გაცხოველებით მიმდინარეობს თივის, ჩალისა და სხვა უხეში საკვების დამზადება, პირუტყვის ბინების ზამთრისათვის მომზადება.

მთელი რიგი კოლმეურნეობები როგორც მაგალითად, გვიმტიბის კარლ მარქსის სახელობის, მაღლაკის ლენინის სახელობის, ამავე სოფლის სტალინის სახელობის, ოფშკვითის, ზედა მესხეთისა და ქვილიშორის სასოფლო-ს ა მ ეურნეო არტელები უკვე ყოველმხრივ მზად არიან პირუტყვის საზამთრო შენახვისათვის. საჩხეურის, დღნორისის, დერჩის, მექვენისა და მუხიანის კოლმეურნეობები წველადობაში სამარცხვინოდ ჩამორჩებიან. აღნიშნულ კოლმეურნეობათა გამგეობები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ურიგდებიან ჩამორჩენას. საჩხეურის კოლმეურნეობა „წინსვლამ“ (თავმჯდომარე ნ. კიბორძალიძე) სილოსის ჩადების დავალება მხოლოდ 41 პროცენტით შეასრულა, ხოლო გათვალისწინებული 76 ტონის ნაცვლად მარტოოდენ 6 ტონა თივა დამზადა. სილოსისა და თივის დამზადების დავალება არ შეუსრულებია აგრეთვე დღნორისის კოლმეურნეობას. სოფელ დერჩის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე დ. გაბუნია) რძის წარმოების მხრივ რაიონში უკანასკნელ ადგილზეა. მიუხედავად ამისა, აქ უსულგულოდ მოეკიდნენ საკვების დამზადებას, ჩაშალეს თივის დამზადება. არც ერთი კოლოგრამი თივა არ დაუმზადებია სოფელ მექვენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ო. მაღლაფერიძე).

ზამთარი კარზეა მომდგარი, ბევრგან სიმინდის ჩალა აუკონლად არის ყანებში, ხოლო ფერმებთან უმნიშვნელო რაოდენობით ან სრულებით არ არის მიზიდული. ასეთ ფაქტებს ეხვდებით ოფურჩხეთის სტალინის სახელობის, გუმათის ორჯონიკიძის სახელობის და საყულიის კოლმეურნეობებში.

უვარგისია მექვენის კალინინის სახელობის, ცხუნკურის ლენინის სახელობის, ქვედა მესხეთის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობათა ღორების ბინები. ფარცხანაყანევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ღორის სადგომი ნახევრად დანგრეულია. ძროხის სადგომის რემონტი ჭიანურდება ცხუნკურის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. ზედა მესხეთისა და ჟონეთის კოლმეურნეობებში შესაკეთებელია, ხოლო სორმონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში დასამონტაჟებელია პირუტყვის ავტომატური სარწყულები. აღნიშნულ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობა დღემდე ვერ მოიცალეს ასეთი „წვრილმანებისათვის“.

მეცხოველეობის ფერმების ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის თავს არ იწუხებენ ცხუნკურის, საჩხეურის, საყულიისა და ფარცხანაყანევის კოლმეურნეობებში. ფერმების ეზოები შემოკავებული არ არის, ხოლო მისასვლელი გზები უვარგისია. ამის გამოც ფერხდება ფერმებთან საკვების დროულად მიზიდვა.

პირუტყვის გამოზამთრება პასუხსაგები და გადამწყვეტი ეტაპია. ნუთუ ეს ჯერ კიდევ ყველამ ვერ შეიგნო წყალტუბოს რაიონში. მარტო ცარიელი სიტყვით და დაპირებით . პირუტყვს ვერც გამოკვებავთ და ვერც გავათბობთ.

შ. ჯავახაძე.

„კომუნისტის“ საქ. კორ.

ქიმია მშვიდობის იარაღია

ქიმიის V საერთაშორისო კონფერენციის დელეგატის შთაბეჭდილებანი

მიმდინარე წელს პარიზში გაიმართა ქიმიის V საერთაშორისო კონფერენცია და ტრადიციული V საერთაშორისო სალონი.

საბჭოთა კავშირიდან კონფერენციაზე წარმომადგენლებად გაგზავნილი იყო ცხრა დელეგატი ინჟინერ-ქიმიკოსი, მათ შორის საქართველოდან ამ წერილის ავტორიც. გარდა ამისა, კონფერენციას დასწრნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი რ. აგლაძე, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ვ. კაკაბაძე, პროფესორები ელენე ნანობაშვილი და ა. ჯანნაშვილი.

კონფერენციის დღის წესრიგში ქიმიისა და ქიმიური მრეწველობის მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრობლემები იდგა: მაგალითად, ორგანულ ნივთიერებათა ანალიზისა და მრეწველობის კონტროლის ავტომატიზაცია, იონიტებისა და კატალიზის პროცესების მათემატიკური ინტერპრეტაცია, ზედაპირულად აქტიური ნაერთთა ქიმია, ქიმიური აპარატურის გაანგარიშების თეორია და პრაქტიკა, ატომგულური ტექნიკა, პარფიუმერია და სხვ. ამავე დროს ნაკოთობის სამრეწველო დანადგართა III ევროპული კონგრესი და აეროზოლების საერთაშორისო სიმპოზიუმიც გაიმართა. სულ 14 სექცია მუშაობდა და 90 მოხსენება იქნა მოსმენილი. კონფერენციის განმავლობაში ქიმიისა და ქიმიური მრეწველობის დარგში მთელი რიგი დოკუმენტური ფილმები იქნა ნაჩვენები.

მაღალმოლეკულურ ნაერთთა პრობლემის განხილვის დროს აღინიშნა ის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა, რაც ამ ახალი დარგის განვითარებაში სხვადასხვა ენერგიის გამოყენებას და პრობლემას თერმოდინამიკურად შესწავლას აქვს.

ეფრსალის მისადგომებთან მოწყობილ V ქიმიური სალონი ქიმიის ექვსი სხვადასხვა დარგის გამოფენისაგან შედგებოდა. მის მოწყობაში 22 კაპიტალისტური სახელმწიფოს 1.325 ფირმა მონაწილეობდა. საინტერესო იყო მეორე გამოფენაც — ე. წ. „ელექტრამა“. ეს გამოფენა მოწყობილი იყო ორიგინალურ არქიტექტურულ ნაგებობაში და ელექტროენერგიის თანამედროვე გამოყენებას ეხებოდა. „ელექტრამაში“ წარმოდგენილი იყო ატომური რეაქტორის საინტერესო მოდელი და საფრანგეთის ქიმიური მრეწველობის მრავალი ნაწარმი.

სალონის დარბაზების 241 სტენდზე ილუსტრირებული იყო ლაბორატორიული მოწყობილობანი და წარმოების კონტროლის ხელსაწყოები. ეს ხელსაწყოები თავისი ხარისხითა და კონსტრუქციული გადაწყვეტით ახალს არაფერს წარმოადგენდა. მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა მიკროორგანული ანალიზის, ქიმიური სასწორის, მრავალკომპონენტიანი აირებისა და სითხეების ქროматოგრაფიის და სატიტრავ მოწყობილობათა სრული ავტომატები.

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთში კაპრონის სინთეზურ ბოჭკოს არ აწარმოებენ. მის ნაცვლად წარმოდგენილი იყო პოლიამიდური ბოჭკო — ნაილონი, ქლორვინილური — როვილი, აკრილიტრილური — ორლონი, აგრეთვე ტერგალი.

დემონსტრირებული იყო ცეცხლგამძლე პლასტიკური მასალისაგან დამზადებული ნაკეთობანი; ავეჯი, თვითმფრინავის დეტალები და საშენი მასალები, გარდა ამისა, ავტომანქანის პლასტიკური ძარები, გლასერის კორპუსი და სხვ. ეს და სხვა პროდუქცია მეტწილად წარმოდგენილი იყო ე. წ. მინის პლასტიკის სახით.

ჩვენ გავეცანით ამინო ჯგუფის შემცველ ზედაპირულად აქტიურ ნივთიერებებს, რაც განკუთვნილი იყო ნიადაგის გამკვრივებისათვის. ამ სტაბილიზატორის 0,15 პროცენტის ნიადაგთან შერევით ნიადაგი იმდენად მკვრივდება, რომ მას ბეტონზე მეტი სიმაგრე აქვს. ეს მაგონებს იმ ფაქტს, რომ ჩვენი წინაპარი ქართველი მშენებლები მონუმენტურ ნაგებობათა მშენებლობის დროს პასუხსაგებ კონსტრუქციათა დუღაბში კვერცხის ცილას უმატებდნენ შედუღაბების სიმაგრისა და გამძლეობისათვის. ქართველ მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ ასე იყო აგებული სვეტიცხოველის ტაძარი, ჯვარის, ხახულის და სხვ.

საფრანგეთში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა პლასტიკურ მასალათა ნედლეულ წყაროდ მცენარეული რესურსების სამრეწველო გამოყენებას. გარდა ცელულოზისაგან მიღებული ვოსკოზური და აცეტატური ხელოვნური ბოჭკოსი, რომლის წარმოება საფრანგეთისათვის ტრადიციული, გამოფენის ერთ სტენდზე ნაჩვენები იყო ცელულოზისაგან მიღებული მაღალი ტევადობის იონიტები და თამბაქოს ბოლოდან ნიკოტინის გამომყოფი 0,5 მილიმეტრის სისქის ფილტრი.

კარგად იყო მოწყობილი ქიმიური მრეწველობის დანადგარებისა და აპარატურის გამოფენაც. საფრანგეთში გარდა ერთი მცირეძალიანი ორგანიზაციისა რაიმე მძლავრი გაერთიანება ქიმიური აპარატურის მშენებლობის დარგში არ არსებობს. ისეთი მოწყობილობანი, როგორიც არის ტუმბოები, თბოგადამცემები, სითხეთა გამოსახდელი საშუალებები და სხვა მრავალი, რაც გამოფენაზე იყო წარმოდგენილი, თავისი ხარისხით ვერ დგას ჩვენი ქვეყნის წარმოების შესაბამის აპარატურაზე მაღლა. მიუხედავად ამისა, საინტერესო იყო სამრეწველო ქიმიურ აპარატურათმშენებლობაში რკინის ნაცვლად მინის გამოყენების ტენდენცია, — მინის სამრეწველო მასშტაბის რეაქტორები, მაცივრები, საკომუნიკაციო მილები, გამოსახდელი აპარატურა და სხვ.

ზოგი ეს დანადგარი ჩვენ გამოფენის გარდა მოქმედებაშიც ვინახულეთ საფრანგეთის ისეთ მოწინავე საწარმოებში, როგორიც არის „კლან-ბილანი“ და „სპესია“.

მიუხედავად ხსენებული მიღწევებისა, კონფერენციასა და გამოფენას ნაკლოვანი მხარეებიც ჰქონდათ: მოწყობილი არ იყო მოხსენებების სტენდების ახსნა სხვა ენებზე, ტექნოლოგიური პროცესები სრულებით არ იყო დემონსტრირებული, სქემების ილუსტრაცია კი იშვიათ გამონაკლისს შეადგენდა. ამ და სხვა ნაკლოვანებებმა ცხადია საერთო დადებით შთაბეჭდილებებთან ერთად ერთგვარი უარყოფითი შთაბეჭდილებაც დატოვა დელეგატებზე.

ჩვენ მოხიბლული დავრჩით ფრანგი ერის დედაქალაქის მარადიული სილამაზით, ფრანგი ხალხის ჩვენდამი გულწრფელობით, მისი კულტურული ძეგლებით. ვტოვებდით რა მშვენიერ პარიზს, ჩვენთვის არ უღალატია იმის წინაგრძნობებს, რომ თავისუფლებისმოყვარე ფრანგი ერი ყოველ ღონეს იხმარს, რათა მისი ქიმიის ტრადიციები საყოველთაო მშვიდობის საქმეს მოხმარდეს. მშვიდობისაკენ ფრანგი ხალხის მისწრაფებას გამოხატავს ის აღფრთოვანებაც, რითაც ყოველი პატიოსანი ფრანგი მოქალაქე მოელის ჩვენი დიადი სოციალისტური სახელმწიფოს მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალ ვიზიტს საფრანგეთში.

ვ. გოგუაძე,
ქიმიოს მეცნიერებათა დოქტორი.

ქალაქ შკოდერის (ალბანეთი) სახელმწიფო მეურნეობა „პერლატ რეჯეპის“ ვენახში.

ა. ი. მიქოიანი დაბრუნდა
მექსიკაში მოგზაურობიდან

მეხიკო, 28 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი დაესწრო საბჭოთა მესიკის კონცერტს კაზმული ხელოვნების სასახლეში. ლოჟაში ა. ი. მიქოიანს გამოჩენას შეხვდნენ მთელი დარბაზის მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით. დამსწრენი ფეხზე ადგნენ, გაისმოდა შეძახილები:

„გაუმარჯოს მშვიდობას! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!“.

ამავე დღეს მეხიკოს საბჭოთა საელჩოში გაიმართა ა. ი. მიქოიანის პრესკონფერენცია. მან გააკეთა განცხადება საბჭოთა კავშირ-მექსიკის ურთიერთობის განმტკიცების შესახებ, აგრეთვე დაასწერეთ გაუზიარა შთაბეჭდილებანი მექსიკაში თავისი მოგზაურობის შესახებ.

დღეს ა. ი. მიქოიანი და მისი თანმხლები პირები თვითმფრინავით „ილ-18“ მექსიკის დედაქალაქიდან სამშობლოში გაფრინდნენ. გაფრენის წინ ა. ი. მიქოიანმა გააკეთა მოკლე განცხადება, რომელშიც მადლობა გადაუხადა მექსიკის რესპუბლიკის პრეზიდენტს ლოპეს მატეოსს, მთელ მექსიკელ ხალხს იმ გულთბილი მიღებისათვის, რომელიც მას მექსიკაში მოუწყეს.

• • •

სპეციალური თვითმფრინავით „ილ-18“ 29 ნოემბერს ნაშუადღევს მექსიკაში მოგზაურობიდან მოსკოვს დაბრუნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი. (საკდესი).

მეცნიერების მიღწევები—პრაქტიკაში

მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, 28 ნოემბერს დამთავრდა სრულიად საკავშირო თათბირი ენერგეტიკული მშენებლობის საკითხებზე. სამი დღის განმავლობაში ენერგეტიკოსი მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსების მრავალათასიანი არმიის წარმომადგენლებმა განიხილეს, თუ რა უნდა გაკეთდეს, რომ რეზერვების, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა მაქსიმალური გამოყენებით, ეკონომიის რეჟიმის სახტიკი დაცვით მივაღწიოთ ახალ ელექტროსიმძლავრეთა უსწრაფეს ამუშავებას, რაც საჭიროა სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

საბოლოო სხდომაზე გრძელდებოდა კომათი 1959-1965 წლებში ენერგეტიკული მშენებლობის ძირითადი ამოცანების შესახებ ელექტროსადგურების მშენებლობის მინისტრის ი. რ. ნოვიკოვის მოხსენების გამო.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. (საკდესი).

ატომი—ხალხის სამსახურში

დუბნა (მოსკოვის ოლქი), 28 ნოემბერი. (საკდესი). დღეს 12 სოციალისტური სახელმწიფოს სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ოქმს მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენების დარგში ამ ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების შესახებ.

ოქმში აღნიშნულია, რომ მეტწილ სოციალისტურ ქვეყნებში შეიქმნა ხელსაყრელი შესაძლებლობა კვლევისათვის მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენების დარგში. ანგარიშს უწევს რა სოციალისტური ქვეყნების მეცნიერთა ხურვილს, სრულუფლებიან წარმომადგენელთა კომიტეტმა აღიარა ატომგულის კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტის წევრი სახელმწიფოების თანამშრომლობის შემდგომი გაფართოება. ზემოთქმულის შესაბამისად, ამ ინსტიტუტის კომპეტენცია არსებითად გაფართოდა.

ზეიმი ალბანეთში

კრება ტირანაში განთავისუფლების მე-15 წლისთავის გამო

ტირანა, 28 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ნ. ფილატოვი გადმოგვცემს. დღეს აქ გაიმართა საზეიმო კრება ფაშისტ დამპყრობთაგან ალბანეთის განთავისუფლების მე-15 წლისთავის გამო.

კრებაზე მოვიდნენ ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ენვერ ხოჯა, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მეჰმეთ შეჰუ, ალბანეთის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჰაჯი ლეში და პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები, მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, სახალხო არმიის გენერლები, და ოფიცრები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გმირები.

საზეიმო კრებას დაესწრნენ საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ი. ვ. სპირიდონოვი, და სხვა საზღვარგარეთელი სტუმარი, რომლებიც ალბანეთის განთავისუფლების მეთხუთმეტე წლისთავის დღესასწაულზე ჩამოვიდნენ.

საზეიმო კრება გახსნა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მეჰმეთ შეჰუმ.

მოხსენება „სახალხო ხელისუფლების 15 წელი“ გააკეთა ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ენვერ ხოჯამ. შემდეგ მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა ამხანაგმა ი. ვ. სპირიდონოვმა.

საზეიმო კრების მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს ტექსტი მისასალმებელი დეპეშისა სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

ნ. ს. ხრუშჩოვის მიწვევები

მოსკოვი. „ლუმანიტეს“ ცნობით, ქალაქ ავონდანეის (მოზელის დეპარტამენტი), ფიეორისა და გრენინის (რონას დეპარტამენტი) მუნიციპალურმა საბჭოებმა გადაწყვიტეს მიიწვიონ საბჭოთა მთავრობის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი საფრანგეთში მისი ვიზიტის დროს.

ნ. ს. ხრუშჩოვის საჩუქარი
ტირანის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი

ტირანა, 28 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ტირანის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ცერემონია იმის გამო, რომ უნივერსიტეტს გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის საჩუქარი — მოწყობილობა უნივერსიტეტის ლაბორატორიისა და მექანიკური სახელოსნოსათვის. გადაცემის ცერემონიას დაესწრნენ ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და განათლებისა და კულტურის მინისტრი მ. მუფტიუ, უნივერსიტეტის მასწავლებლები და სტუდენტები. საჩუქარი გადასცა ალბანეთში — სსრ კავშირის ელჩრის მრჩეველმა კ. ი. ნოვიკოვმა.

უნივერსიტეტის კოლექტივის სახელით რექტორმა ზ. კელიჩიმ მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობასა და პირადად ნ. ს. ხრუშჩოვს ამ ძვირფასი საჩუქრისათვის.

ყოველი მხრიდან

◆ საფრანგეთის ეროვნულ კრებაში. ◆ ლეიბორისტთა კონფერენცია. ◆ მოიითხოვენ ამერიკული ბაზების ლიკვიდაციას. ◆ ძია სემის ნაღმოსანი გერმანელ რევანშისტებს.

პარიზი, 28 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ღამით საფრანგეთის ეროვნულ კრებაში გაიმართა კენჭისყრა იმ წინადადების გამო, რომელიც შეიტანეს სოციალისტური პარტიის ჯგუფმა და „დემოკრატიული ძალების კავშირის“ ჯგუფის მთელმა რიგმა დეპუტატებმა და რომელშიც მთავრობას უცხადებენ უნდობლობას 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით.

უნდობლობის ვოტუმს მხარი დაუჭირა 109 დეპუტატმა, მაშინ როცა მისი მიღებისათვის საჭირო იყო ეროვნული კრების აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერა — სულ ცოტა 277 ხმა. ამრიგად, ბიუჯეტის პროექტი მთლიანად, რომელიც დებრეს მთავრობამ წარმოადგინა, ავტომატურად მოწონებულია.

ფრანს პრესის სააგენტოს დამოწმებით, ეროვნულ კრებაში წამოვიდა „კრიტიკის ნამდვილი კოკისპირული წვიმა“ საფრანგეთის მთავრობის წინააღმდეგ მისი ეკონომიური პოლიტიკისათვის მთლიანად და, კერძოდ, მისი პოლიტიკისათვის სოფლის მეურნეობის დარგში, აგრეთვე იმისათვის, რომ მას არ სურს მის მიერ გაუქმებული პენსიები აღუდგინოს ყოფილ ფრონტელებს.

ბლეკპული, 28 ნოემბერი, წაკდესის სპეციალური კორესპონდენტი მ. ფედოროვი იუწყება: დღეს დილით ბლეკპულში გაიხსნა ინგლისის ლეიბორისტული პარტიის ყოველწლიური კონფერენცია. კონფერენციის მუშაობაში მთავარი ყურადღება მიექცევა ამა წლის 9 ნოემბრის პარლამენტის არჩევნებში ლეიბორისტთა დამარცხების მიზეზების განხილვას. კონფერენციაზე მოხდება აგრეთვე ლეიბორისტული პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის ხელახალი არჩევნები.

კონფერენციაში მონაწილეობისათვის, რომელიც ორ დღეს გასტანს, ბლეკპულში ჩამოვიდა დაახლოებით 1.700 დელეგატი.

პეკინი, 28 ნოემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იმოწმებს მანილიდან მიღებულ ცნობას და გადმოგვცემს, რომ ფილიპინების კონგრესის მთელმა რიგმა ლიდერებმა მოითხოვეს ამერიკის სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია ფილიპინებზე. ამასთან დაკავშირებით კომენტარს უკეთებს რა ფილიპინებისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობას, გაზეთ „მანილა ქრონიკლის“ მომამხელელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა გადაისინჯოს ფილიპინებისა და ამერიკის ხელშეკრულებანი და მოხდეს ამერიკის სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია ფილიპინებზე.

ბერლინი, 29 ნოემბერი. (საკდესი), 15 დეკემბერს დასავლეთ გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტს გადაეცემა ამერიკის მეოთხე საესკადრო ნაღმოსანი. რამდენიმე დღის შემდეგ, კილში ჩავა ამერიკის მეორე საესკადრო ნაღმოსანი, რომელიც აგრეთვე გადაეცა დასავლეთ გერმანიას. ამჟამად იგი იმყოფება ამერიკის წყლებში, სადაც დასავლეთ გერმანიის მატროსები იწვრთნებიან ამერიკელ ოფიცერთა ხელმძღვანელობით.

აღნიშნავენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ გერმანიის შეთანხმება ითვალისწინებს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტს გადაეცემა ექვსი საესკადრო ნაღმოსანი.

ამას გარდა, 1960 წლის მარტის შუა რიცხვებში ჰამბურგში წყალში ჩაუშვებენ პირველ საესკადრო ნაღმოსანს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის. ნაღმოსანი აშენებულია დასავლეთ გერმანიის ნავსაშენებში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო ხელისუფლებს განზრახვა აქვთ აღჭურვონ ეს საესკადრო ნაღმოსანები რაკეტების გასაშვები დანადგარებით.

საგარეოპოლიტიკური მიმოხილვა

◆ კუბა დეკემბერი დათესილი მარცვალი ნაყოფს იძლევა.
◆ ცივი ომის მომხრეთა ხრიკები საზიანოა ხალხებისათვის

თანამედროვე საგარეო პოლიტიკური ვითარების დამახასიათებელი თავისებურება კვლავ საერთაშორისო ჰავის დათბობაა. ამის მთელი რიგი ახალი დადასტურება განვლილმა კვირამ ცხადყო. ეს, რომ დასავლეთში ფართოდ მოიფრქვა საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეზოლუცია საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, რომელიც 20 ნოემბერს მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ, რომ ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებას გაცვლის შესახებ ტექნიკების, ტექნიკისა და კულტურის დარგში, რომ ლონდონში დაიწყო საბჭოთა კავშირ-ინგლისის მოლაპარაკება ასეთივე გაცვლის შესახებ, რომ მიღწეულია შეთანხმება იტალიის პრეზიდენტ ჯ. გრონკის საბჭოთა კავშირში ვიზიტის შესახებ, რომ ა. ი. მიქოიანმა მეხიკოში დასტნა საბჭოთა გამოფენა, რომელიც ლათინური ამერიკის ხალხებს აცნობს სიმართლეს სსრ კავშირის შესახებ, ბრაზილიის სავაჭრო დელეგაციის ჩამოსვლა მოსკოვში — ყველა ეს მოვლენა გვიჩვენებს, რომ საგარეო პოლიტიკური ვითარების გაჯანსაღების პროცესი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიული მოგზაურობის შედეგად დაიწყო, გრძელდება. მართალია საფრანგეთის გაზეთი „ლიბერასიონი“, როცა აღნიშნავს: „კემპ დეივიდში დაფესილი მარცვალი იძლევა აღმონაცენს — ჯერ კიდევ სუსტს, მაგრამ მრავალს აღმოქმელს“.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების ურთიერთობის ნორმალიზაციის ობიექტურნი ფაქტები, რაც დღეს შეინიშნევა, ჯერ კიდევ არ შეიძლება მიეჩინოთ, რომ უზრუნველყოფენ მრავალი ლის ცივი ომის შედეგების სრულ ლიკვიდაციას. მაგრამ, უდავოა, რომ ისინი ელენ უწყობენ საერთაშორისო ატმოსფეროს გაწმენდას მტრობისა და უნდობლობის ბაცილებისაგან. საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთიანობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ისეთ კარდინალურ საკითხზე, როგორიც განიარაღებაა, გაწეულია პირველად. სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა კულტურული გაცვლისა და ეკონომიკურ თანამშრომლობის შესახებ, ამერიკის გამალებულ შეიარაღებას“. ამასთან დაკავშირებით მოხსენებაში რეკომენდებულია, რომ შეერთებულმა შტატებმა „გამოიჩინონ მოქნილობა იმ ცვლილებებისადმი მიდგომაში, რომლებიც ხდება მსოფლიოში“, და სავსებით უკუაგდონ საგარეო პოლიტიკის „უხეში კურსი“.

გონივრული ხმები სულ უფრო ხშირად გაისმის არა მარტო ამერიკის შეერთებულ ძტატებში, არამედ დასავლეთის ბლოკებში შემავალ, სხვა ქვეყნებშიც. „თავისუფალი სამყარო (იგულისხმე კაპიტალისტური სამყარო) სავსებით უნდა ერწმუნოს რუსების იმ მისწრაფების გულწრფელობას, რომ ბოლო ომიდან ცივ ომის“, — აცხადებს ჟურნალ „ევროპა პარიში“ საფრანგეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ე. ფორი. „მსოფლიოს მოვლენა მეგობრული პოლიტიკა, და დადგა მისი განხორციელების ხანა“, — წერს იტალიის გაზეთი „სტამპა“. ირანის სენატის თავმჯდომარე სადრ-ოლ-აშრაფი, აღნიშნავს რა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამასწინანდელ მიმართვას ყველა ქვეყნის პარლამენტებისადმი, რომელშიც მოუწოდებს მათ გააძლიერონ ბრძოლა მშვიდობის განმტკიცებისათვის, ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ, ხაზგასმით წერს: „ჩვენ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით უნდა მივესალმოთ ამ მიმართვას და განვმარტოთ იგი როგორც მთელი მსოფლიოს ხალხთა ბედნიერების უზრუნველყოფის საშუალება“.

ასეთი განცხადებანი უწონარეს ყოველსა იმის შედეგია, რომ შეიცვალა ძალთა თანაფარდობა მსოფლიო ასპარეზზე საბჭოთა კავშირისა და მშვიდობისა და სოციალიზმის მთელი ბანაკის სასარგებლოდ. შეტად გულახდილი აღიარებანი გაისმა ამ მხრივ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ეკონომიური სტატისტიკის ქვეკომისიის სხდომებზე, რომლებიც ამას წინათ დამთავრდა ვაშინგტონში. ამ სხდომების მონაწილეთა უმრავლესობა მივიდა დასკვნამდე, რომელიც ასე ჩამოაყალიბა ვირჯინიის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უ. ნატერომმა: „ჩვენ ამერიკის შეერთებულ შტატებში შეჩვეული ვართ იმას, რომ ჩვენი ეკონომიური სისტემა მიგვაჩნდეს ყველაზე ეფექტიანი სამრეწველო ზრდის ბერკეტად კაცობრიობის ისტორიაში. ახლა უნდა ვაღიაროთ, რომ საბჭოთა ეკონომიურმა სისტემამ უკვე დაამტკიცა, რომ ყოველ შემთხვევაში ამ მხრივ გაგვითანასწორდა“. ამასთან დაკავშირებით, როგორც აღნიშნულია ამერიკის ჟურნალ „აირონ ენდ სტილ ენჯინერის“ ნოემბრის ნომერში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში მწიფდება იმის შეგნება, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიური ძლიერება და მისი განვითარების ტემპი შესაძლებლობას აძლევს მას არა მარტო დაეწიოს, არამედ გაუსწროს კიდეც შეერთებულ შტატებს დასახულ ვადებში. საბჭოთა ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკის სწრაფი ზრდა, რამაც უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის ისტორიული გამარჯვება კოსმოსის საიდუმლოებათა დაპყრობაში, აგრეთვე საბჭოთა სახელმწიფოს თანმიმდევრული მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა უკარნახებენ საღად მოაზროვნე პოლიტიკოსებს დასავლეთში, რომ საჭიროა უარი ითქვას დრომოჭმული ცივ ომზე და დაადგნენ მშვიდობიანი თანაარსებობის გზას. „ვეძიოთ მშვიდობიანი თანაარსებობის გზა“ — ასე განსაზღვრა ეს ამოცანა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კ. ჰერტერმა, როცა ამას წინათ გამოვიდა საერთაშორისო ვაჭრობის ეროვნულ საბჭოში.

მაგრამ ასეთი მოწოდება, ჯერ კიდევ არ მოსწონთ ცივი ომის პოლიტიკის მრავალრიცხოვან მქადაგებლებს. მათი პოლიტიკური მისწრაფებანი გამოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა დ. აჩესონმა. ახასიათებს რა ჩვენი სამშობლოს ეკონომიურ წარმატებებს როგორც წყაროს „საბჭოთა საფრთხისას“ დასავლეთის ქვეყნებისათვის, აჩესონი მოითხოვს ცივი ომისა და გამალებული შეიარაღების განგრძობას, უარისთქმას საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების პოლიტიკაზე, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების „განთავისუფლებას“ და სხვ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ყოფილ ხელმძღვანელს სურს, რომ მისმა ქვეყანამ და მთელმა მსოფლიომ, დაიბრუნონ ცივი ომის უარესი დრო. აჩესონის ეს მისწრაფებანი იმდენად აშკარაა და იმდენად ეწინააღმდეგება ამერიკელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებსა და განწყობილებებს, რომ ამ მისწრაფებებს გმობს თვით სახელმწიფო მდივანი კ. ჰერტერი. 24 ნოემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე მან გააკრიტიკა აჩესონის განცხადება და, კერძოდ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ ეთანხმება მას საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების საკითხში.

მაგრამ აჩესონს თანამოაზრენიც ჰყავს. და თანაც ისეთი, რომლებიც არ სჯერდებიან სიტყვიერ დიეირსიებს მშვიდობიანი თანაარსებობის წინააღმდეგ, ცდილობენ საქმით მოწამლონ საერთაშორისო ატმოსფერო და კვლავ წარმართონ მოვლენათა განვითარება ცივი ომის კალაპოტი. ეს ერთი კვირა სამწუხაროდ აღინიშნა მთელი რიგი ასეთი ცდებით. მათი გამოხატულება იყო, კერძოდ, ჯაზრი ეგრეთწოდებული „კორეის“ და „უნგრეთის“ საკითხების გარშემო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე, რომელიც ნიუ-იორკში მიმდინარეობს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საწინააღმდეგოდ, მთელი რიგი ქვეყნების დელეგატებმა ამერიკის წარმომადგენლის რობერტსონის მეთაურობით კვლავ არ დაუშვეს „კორეის საკითხის“ განსახილველად კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები. ამასთანავე ისინი ცდილობენ თავს მოაბეზეონ ასამბლეას „კორეის საკითხის“ ისეთი გადაჭრა, რომლის მიზანია ვითარების გამწვავება შორეულ აღმოსავლეთში. ვითარების გამწვავების სურვილით გამსჭვალულია „უნგრეთის საკითხის“ გალვანიზაციაც, რაც წამოწყვეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე ამერიკის დელეგატის ლოჯის ინიციატივით. საბჭოთა წარმომადგენელმა ვ. ვ. კუზნეცოვმა თავის სიტყვაში ასამბლეის პლენარულ სხდომაზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში „საქმე ეხება ცივი ომის ბომბრეთა ცდას კვლავ გამოიყენონ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია იმისათვის, რომ გააუარესონ საერთაშორისო ვითარება, ძირი გამოუთხარონ თანამშრომლობას სესიის დელეგატებს შორის“.

საერთაშორისო ჰავის დათბობის წინააღმდეგ ყოველნაირად იბრძვიან ბონის მმართველი წრეებიც ადენაუერის მეთაურობით. უკანასკნელ ხანს რევანშისტთა და ნაცისტთა აქტივიზაცია დასავლეთ გერმანიაში განსაკუთრებით აშკარა გახდა. ბონის მთავრობის მფარველობაში მყოფმა „სუდეტელ გერმანელთა საბჭომ“ წამოაყენა რევანშისტული მოთხოვნა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის ნაწილის დაპყრობის შესახებ. დიუსელდორფში გაითამაშეს მშვიდობისათვის მოწინააღმდეგე გერმანელ მებრძოლთა გასამართლების კომედია.

ხალხთა მშვიდობისა და თანამშრომლობის მოწინააღმდეგეთა ძირგამომთხრელი საქმიანობა, რასაკვირველია, სერიოზულ ზიანს აყენებს მშვიდობიანი თანაარსებობის საქმეს, მაგრამ გუშინდელი დღის ამ ადამიანთა იმ ცდებს, რომ დაუბრუნონ სამყარო ცივი ომის დროს, სულ უფრო ფართოდ და მტკიცედ გმობენ. ვაშინგტონის გაზეთი „სტარი“ წერს, რომ მას შემდეგ, რაც აჩესონი გამოვიდა, რათა ექადაგა ცივი ომი „მის მოთაყვანეებსაც კი ამერიკის შეერთებულ შტატებში რეაქციონერად მიაჩნიათ ყოფილი სახელმწიფო მდივანი“. ხოლო გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“ აღასტურებს, რომ „ცივი ომის მომხრეთა შავბნელ გამოსვლებს“ საერთო არაფერი აქვთ ხალხთა ნამდვილ სურვილებთან.

დიახ, აჩესონის და მისი თანამოაზრეების შავბნელი გამოსვლები საზიანოა ხალხებისათვის. მათ იციან, რომ ახლა შეიქმნა ისეთი ატმოსფერო, როცა, ნ. ს. ხრუშჩოვის გამოთქმით, შეიძლება ხელი შევუშალოთ და კიდევაც უნდა შევუშალოთ ხელი ცივი ომის მომხრეებს, რომლებიც ცდილობენ კვლავ გამწვავონ საერთაშორისო ვითარება.

პ. რისაკოვი.

DELEGADOS DEL ASTA
LLEVEN A SUS PUEBLOS LA
VERDAD DE LAS TRAICIONES DE
QUE AL NUESTRO SE HACEN POR CUERDO
SER DIGNOS E

მოვიდა ზამთრის ცივი დღეები, თოვლით შემოსა ბაღში ხეები.

ახლა რტოებზე თბილისის ნაძვებს სპეტაკი თოვლი ზვინებად აწევს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

დღეს რეიმსში

დიდი მატჩის წინ

რეიმსი საფრანგეთის არც თუ ისე დიდი, მაგრამ კოხტა და მიმზიდველი ქალაქია. იგი მდებარეობს ენა-მარნის არხზე, ითვლება შამპანური ღვინის წარმოების უდიდეს ცენტრად და რკინიგზის ერთ-ერთ მთავარ კვანძად.

ამ ქალაქში დიდად განვითარებულია საფეიქრო მრეწველობა, მოსახლეობა 122.000 სულს შეადგენს.

რეიმსი დიდი სპორტული ტრადიციის ქალაქია. აქ განსაკუთრებით უყვართ ფეხბურთი და საფრანგეთის ეროვნული ნაკრებიც ძირითადად ამ ქალაქის ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული.

რეიმსის ფეხბურთელთა სახელმოხვეჭილ კლუბს ქალაქის სახელი — „რეიმსი" აქვს შერქმეული. „რეიმსს" საფრანგეთის ფეხბურთის განვითარების ისტორიაში დიდი ღვაწლი მიუძღვის, ამასთანავე საერთაშორისო მატჩებში ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვს.

„რეიმსი" საფეხბურთო ბრძოლის ფრონტზე 1935 წელს გამოჩნდა საფრანგეთის პროფესიონალ ფეხბურთელთა მეორე ლიგაში. მალე ამ კლუბმა საერთო სიმპათია დაიმსახურა, გაიმარჯვა ჩრდილო ზონის კლუბთა პირველობის გათამაშებაში და უმაღლეს ლიგაში გადავიდა. აქაც „რეიმსის" პროგრესულობა ყოველ სეზონში იგრძნობოდა და 4 წლის შემდეგ იგი საფრანგეთის ჩემპიონი გახდა.

„რეიმსის" ბრძოლისა და გამარჯვებათა ტრადიცია ფართოდ დამკვიდრდა საფრანგეთში. ამაზე მეტყველებს ამ კლუბის მიერ მოპოვებული გამარჯვებები. პირველი დიდი წარმატების შემდეგ „რეიმსი" ოთხჯერ იყო საფრანგეთის ჩემპიონი, ორჯერ მეორე ადგილი დაიკავა, სამჯერ — მესამე და ოთხჯერ — მეოთხე ადგილი.

საფრანგეთის ფეხბურთელთა ეს სახელმოხვეჭილი კოლექტივი წარმატებით გამოდის აგრეთვე მეორე დიდ ახპარეზობაში — თასის გათამაშებაში. იგი ორჯერ იყო საფრანგეთის თასის მფლობელი და ორჯერ მონაწილეობდა ფინალში.

უძლიერეს გუნდთა შვეიცის ტურნირში — მსოფლიო პირველობის გათამაშებაში ფრანგმა ფეხბურთელებმა საერთო აღიარება ჰპოვეს. მათი ტემპიანი, ტექნიკური და კორექტული თამაში ხიბლავდა მაყურებელს. ფრანგებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს, მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვეს.

ვინ იყო საფრანგეთის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში? ძირითადად ესენი იყვნენ „რეიმსის" ფეხბურთელები — ცნობილი სნაიპერი ფონტენი, ფეხბურთის ტექნიკის ვირტუოზი კოპა, პიანტონი, კოლონა, ჟონკე, ვენსანი, პენვერი და სხვ.

თბილისელმა ფეხბურთის მოყვარულებმა რეიმსელები უფრო ახლოს გაიცნეს მიმდინარე წლის ივნისში თბილისის დინამოელებთან მატჩში. მართალია, ფრანგი ფეხბურთელები მაშინ დამარცხდნენ (2:5), მაგრამ ისინი დღესაც სიამოვნებით იგონებენ საბჭოთა კავშირში ყოფნას, თბილისში გატარებულ დღეებს, სტუმართმოყვარეობას, მეგობრობას.

მაშინ საფეხბურთო მოედანზე ჩვენ არ გვინახავს რეიმსის სული და გული კოპა, პიანტონი და სხვ., მაგრამ ფრანგებმა დინამოელებთან მატჩში აჩვენეს შესანიშნავი ტექნიკა, ბრძოლისუნარიანობა.

მას შემდეგ უკვე ხუთმა თვემ განვლო. ქართველი ფეხბურთელები სასაპასუხო ვიზიტით საფრანგეთს ეწვივნენ. დღეს დინამოელები მათთვის ცნობილი კლუბის „რეიმსის" სტუმრები არიან.

ქ. რეიმსი დიდი ფეხბურთის მოლოდინშია. ინტერესი თბილისის „დინამოსა" და საფრანგეთის „რეიმსისადმი" განსაკუთრებით გაიზარდა საფრანგეთის ერთ-ერთი უძლიერეს საკლუბო გუნდთან „რენინგთან" თბილისელთა ბრწყინვალე გამარჯვების შედეგად.

ბუნებრივია, ფრანგი ფეხბურთელები ფიქრობენ რევანშზე.

ყველაფერს გადწყვეტს დღევანდელი ბრძოლა, ამ შეხვედრის 90 წუთი.

* * *

გუშინ ქ. რეიმსიდან ჩვენს რედაქციას დაუკავშირდა ცნობილი რადიოკომენტატორი ვალერ სინიავსკი, რომელიც თან ახლავს დინამოელებს.

აი რა გვიამბო მან:

— ფრანგები თბილისის „დინამოს" და „რეიმსის" მატჩს შეუნელებელი ინტერესით მოელიან. საკმარისია ითქვას, რომ ბილეთები უკვე რამდენიმე დღეა გაყიდულია. სასტუმროებმა ოთახებზე, ხოლო კლუბმა ბილეთებზე შეკვეთები მიიღეს არა მარტო საფრანგეთის ქალაქებიდან, არამედ ევროპის მრავალი ქვეყნიდან.

29 ნოემბერს „დინამოს" მთელი გუნდი, მწვრთნელები და მეც დავეხეწარით „რეიმსის" მატჩს საფრანგეთის პირველობაზე.

ამჟერად ჩვენი დღევანდელი მეტოქენი თამაშობდნენ „ჰავრის" საკლუბო გუნდის წინააღმდეგ. ამ შეხვედრას რეიმსელებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ გუნდის ყველა ხაზი შეუპოვრად, მთელი დატვირთვით იბრძოდა. კოპა, ფონტენი, პიანტონი ენერგიის მაქსიმალური დაძაბვით თამაშობდნენ. ასპარეზობა ტემპიანი და მიმზიდველი იყო, „ჰავრი" არ ჩამორჩებოდა მოწინააღმდეგეს. საქმე იმით დამთავრდა, რომ მეტოქეებმა შეძლეს ორ-ორი ბურთის გატანა და შეხვედრა ფრედ 2:2 დამთავრეს.

მატჩის შედეგით განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო კოპა. მან ჩემთან საუბარში განაცხადა. ეს ფრე დამარცხებას უდრის, რადგან დაკარგული „რეიმსისათვის" იმდენად საპირო იყო, რომ ხელიდან გავუშვით ლიდერობა.

ჩემს შეკითხვაზე, თუ რას ფიქრობს იგი თბილისის „დინამოსთან" შეხვედრაზე, რაიმონდ კოპამ მიპასუხა: მე როგორც ფეხბურთელი მეტად კმაყოფილი დავრჩი, მართალი გითხრათ ძალზე მომეწონა თბილისელთა თამაში პარიზში „რესინგთან". საქმე იმაშია, რომ გუნდში იშვიათად თუ მოძებნი სუსტ ადგილს. ეს არის ერთ მთლიანობაში მოცემული მონოლითური კოლექტივი, რომლის ბრძოლა შერწყმულია ტემპთან, რიტმულობასთან, მაღალ ტექნიკასთან.

ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა არც თუ სახარბიელოა, დაზიანებული მაქვს ფეხი, ამასთანავე მეორე დღეს მიმძიმს თამაში, მაგრამ ამ მატჩზე მიზეზებზე ლაპარაკი ზედმეტია. მე შევეცდები ვითამაშო მთელი ენერგიით, მონდომებით, რადგან იგი საჭირო არა მარტო ჩემი ინტერესისათვის, არამედ კლუბის პრესტიჟისათვის, საფრანგეთის ფეხბურთის ღირსებისათვის.

მეტი რა შემიძლია გითხრათ, — თქვა ბოლოს ვ. სინიავსკიმ აქ ამინდები კარგია, ტემპერატურა +8 გრადუსია, თუმცა ხშირად ნისლშია გახვეული ქალაქი. თამაში იწყება ადგილობრივი დროით 8 საათზე, ე. ი. თბილისის დროით 11 საათზე. მატჩის მეორე ნახევარი (დაახლოებით 12 საათიდან თბილისის დროით) ტრანსილირებული იქნება.

მესამე მატჩი ნავარაუდევია 3 დეკემბრისათვის, და თუ ვისთან, — ეს ჯერ არ არის გამორკვეული. დინამოელები ბრძოლას მოწყურებული არიან. გამარჯვება ვუსურვოთ მათ.

ნახვამდის, მატჩის ტრანსლაციამდე.

ესენი საფრანგეთის ფეხბურთელთა ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის „რეიმსის" მოთამაშენი არიან. დღეს, 1 დეკემბერს ისინი ხვდებიან საფეხბურთო მოედანზე თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს. დიდია ამ შეხვედრისადმი ინტერესი.

ეს სურათი ქალაქ რეიმსიდან მიღებული არ გეგონოთ. იგი საქდესის ფოტო-რეპორტიორებმა თ. არჩაძემ და ვ. სტოლიაროვმა გადაიღეს საქართველოს დედაქალაქში. თბილისელი მაყურებლები კარგად იცნობენ საფრანგეთის გუნდის ამ შესანიშნავ ფეხბურთელებს და იცნობენ ამ სტადიონსაც. ეს ჩვენი, შობილიური თბილისის „დინამოს" სტადიონია. წლევანდელ ზაფხულს რეიმსელებმა ამ სტადიონზე წააგეს თბილისის დინამოელებთან თამაში ანგარიშით 2:5.

ამბობენ, ისტორია არ მეორდება, მაგრამ კარგი მოვლენის განმეორებას გულით ინატრებს ადამიანი. საბჭოთა ფეხბურთის მოყვარულთა ერთსულოვანი სურვილია, რომ ამ საერთაშორისო მატჩშიც განმეორდეს ეს ანგარიში თბილისელ დინამოელთა სასარგებლოდ ქ. რეიმსის სტადიონზე.

ადამიანის სიცოცხლისათვის

თათბირი კიბოს პროგლემაზე

23-27 ნოემბერს მოსკოვში მიმდინარეობდა სრულიად საკავშირო თათბირი თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთი უველაზე აქტუალური პრობლემის — ონკოლოგიის დარგში სამუშაოთა კოორდინაციის შესახებ. თათბირის მუშაობაში საბჭოთა მეცნიერებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საზღვარგარეთის მთელი რიგი ქვეყნების წარმომადგენლებმა.

თათბირი გახსნა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ა. ნ. ბაკულევმა, რომელმაც ხაზი გაუსვა ონკოლოგიის დარგში მეცნიერულ პრობლემათა კოორდინაციის განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას. სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული კიბოს პრობლემის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ ა. ი. სერებროვმა თავის მოხსენებაში სსრ კავშირში კიბოს პრობლემის მეცნიერული კვლევის გეგმის შესახებ აღნიშნა, რომ კვლევა მიმდინარეობს ფართო მასშტაბით. მედიკებთან ერთად კვლევაში მონაწილეობას იღებენ ქიმიკოსები, ფიზიკოსები, ბიოლოგები, მთელი რიგი სხვა დისციპლინების წარმომადგენლნი, რომლებიც მუშაობენ არა მარტო სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, არამედ აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და სხვა უწყებების სისტემაში.

თათბირმა შეადგინა მეცნიერული კვლევის კომპლექსური გეგმა და განსაზღვრა კვლევის ყველაზე აქტუალური ამოცანები, რომლებსაც ეკუთვნის უწინარეს ყოვლისა: სხვადასხვა ფორმის ავთვისებიან სიმსივნეთა წარმოშობის მიზეზების დადგენა, კიბოს ადრეული დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკის რაციონალური მეთოდების შემუშავება და მკურნალობა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ავთვისებიან სიმსივნეთა გავრცელების გეოგრაფიულ თავისებურებათა შესწავლას, აგრეთვე ახალი სამკურნალო პრეპარატების შემუშავებას, გამოცდასა და სამკურნალო პრაქტიკაში დანერგვას, პრეპარატებისა, რომლებსაც შეუძლიათ სამკურნალო ეფექტის მოცემა კიბოს ზოგიერთი ფორმის დროს.

თათბირმა მოისმინა და განიხილა აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების მეცნიერული მოხსენებანი — პროფესორ ო. მ. შაბადისა „კანცეროგენული აგენტები და მათი როლი კიბოს ეთიოლოგიისა და პროფილაქტიკაში" და პროფესორ ა. ა. სავიცკისა „კიბოს მკურნალობის დროს ოპერაციული ჩარევის საზღვრების შესახებ". (საკდესი).

ცოცხალი ვაქცინით აცრა

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა განიხილა სკაითხი პოლიომიელიტის საწინააღმდეგო ცოცხალი ვაქცინის შესწავლისა და საბჭოთა კავშირში მისი გამოყენების შედეგების შესახებ.

სხდომაზე გამოვიდნენ აკადემიის წევრ-კორესპონდენტები მ. პ. ჩუმაკოვი და ა. ა. სმოროდინცევი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ სსრ კავშირში ამ ვაქცინით აცრილთა საერთო რაოდენობამ ოქტომბრის დამლეისათვის 12 მილიონ 211 ათას გადააჭარბა. აცრა წარმოებდა 13 მოკავშირე რესპუბლიკაში. მთელ რიგ ქალაქებსა და ოლქებში ვაქცინა გამოყენებულ იქნა პოლიომიელიტის დაავადების აღმავლობის პერიოდში (ივლისი-სექტემბერი). დაკვირვებამ ცხადად დაადასტურა ცოცხალი ვაქცინის ეპიდემიის საწინააღმდეგო ეფექტი. გამორკვეული და დადასტურებულია მისი უვნებლობა. ვაქცინის გამოყენების საბოლოო შედეგები შეჯამებული იქნება შემდგომი წლის დამდეგს.

მეცნიერებმა განაცხადეს, რომ ამჟამად მოსკოვში დაიწყეს ცოცხალ ვაქცინიანი კაფსულ-დრაჟეს გამოშვება. ამ კაფსულების გამოყენებამ თხევად ვაქცინის ნაცვლად ცხადყო დიდი უპირატესობა მასობრივი აცრის პირობებში. ასეთი კაფსულებით წარმატებით შეუქმნეს იმუნიტეტი 1.500.000 ბავშვს. დრაჟეს ვაქცინა კარგად ინახება სიცივეში 2-4 კვირის განმავლობაში.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის რეკომენდაციით უნდა გაგრძელდეს ცოცხალი ვაქცინის შესწავლა. (საკდესი).

საქართველოს სტუმრები

30 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა საბერძნეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების დელეგაცია. დელეგაციაში შედიან საბერძნეთის პარლამენტის დეპუტატები ადეოკატი სტავროს ილიოპულოსი, ექიმი-ფსიქიატრი ემანუელ ზანინი და ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, ეკონალისტი ეკატერინე ხრისტელ.

დელეგაცია საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ვიზიტით პასუხად საზოგადოება „სსრ კავშირის-საბერძნეთის" წარმომადგენელთა ვიზიტისა საბერძნეთში. სტუმრები უკვე იყვნენ ოდესაში, მოსკოვში.

— ჩვენი ჩამოსვლის მიზანია, — თქვა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში დელეგაციის მეთაურმა სტავროს ილიოპულოსმა, — გავეცნოთ საბჭოთა ხალხის ცხოვრებას, ხელი შეუწყოს საბერძნეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობის განვითარებას. დელეგაცია მოხარულია, რომ ჩამოვიდა საქართველოში, მასთან საბერძნეთს დიდი ხნის კულტურული ურთიერთობა აქვს. (საქდესი).

ᲙᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲧᲕᲔᲚᲐᲡ, ვინც შეავთბილისის მე-9 საბავშვო ბაღში, თვალში ეცემა კედლებზე ქართული და რუსული ზღაპრების პერსონაჟთა ნახატები. ეს არის ბაღის დირექტორის ელენე კვინიხიძის ნამუშევარი, რომელიც თავისუფალ დროს ანდომებს ამ საქმეს.

პატარებს უყვართ აგრეთვე ხათამაშოები, რომლებსაც დიდი ოსტატობით ქმნის ე. კვინიხიძე. ამუამად მან დაამთავრა მუშაობა ხათამაშოების სერიაზე „რწყილი და ჭიანჭველას" მიხედვით.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ელენე კვინიხიძე აკეთებს ხათამაშოებს.

ფოტო და ტექსტი ი. კირშენბლატისა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ქალაქის პირველი ხაადმყოფის ქირურგიულ-უროლოგიური განყოფილების ბაზაზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა ახალი სამეცნიერო დაწესებულება — უროლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომელიც იმუშავებს უროლოგიის რთულ საკითხებზე.

ინსტიტუტის დირექტორია სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. წულუკიძე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲚᲘᲞᲔᲪᲙᲘ. 29 ნოემბერი. (სპეც. კორ.). ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის მორიგი მეექვსე ტური აღინიშნა ძძაფრი ბრძოლით.

ოსტატმა ნ. გაფრინდაშვილმა ნ. კოლოტის წინააღმდეგ ძლიერად ჩაატარა პარტია. მან ფიგურათა მანევრირებით, კომბინაციური თამაშით გარკვეული უპირატესობა მოიპოვა, მიიღო ძლიერი გამსვლელი პაიკი და მალე აიძულა მოწინააღმდეგე დანებებულიყო.

ამავე დღეს თ. დმიტრიევამ დაამარცხა ს. როოტარე. ა. კუშნირ-ო. რუბცოვა, ო. სემიონოვა-ლ. ვოლპერტი და ვ. ტიხომიროვა-ლ. იაკირი ყაიმზე შეთანხმდნენ.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ᲚᲘᲞᲔᲪᲙᲘ. 30 ნოემბერი. (სპეც. კორ.). დღეს აქ შედგა ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის მეშვიდე ტური.

ს. როოტარემ მოუგო ო. სემიონოვას, ა. ვიტკოვსკაიამ — ა. კუშნირს. ა. რუბინჩიკ-ლ. ბელავენეცს, ნ. კოლოტიზ. ნახიმოვსკაიას, ნ. ეოიეკკ-მ. ტოგონიძისა და ლ. იაკირ-კ. სკეგინას პარტიებში მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ნ. გაფრინდაშვილს, რომელიც შავებით თამაშობდა ტ. ზატულოვსკაიას წინააღმდეგ გადადებულ პოზიციაში ორი გადაბმული გამსვლელი პაიკი და მოსაგები მდგომარეობა აქვს.

შვიდი ტურის შემდეგ წინ არიან ლ. ვოლპერტი და თ. დმიტრიევა, მათ მოსდევს ოთხ-ოთხი ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ.

ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ. 29 ნოემბერი. (სპეც. კორ.). დღეს შედგა მეათე ტური. გროსმაისტერმა ე. გალერმა დებიუტდანავე უკეთესი პოზიცია მიიღო, ძლიერი ინერციით განავითარა მოწინააღმდეგის მეფის ფლანგზე და 38-ე სვლაზე მორიგი გამარჯვება მოიპოვა.

წარმატებით იბრძოდა თბილისელი ოსტატი ბ. გურგენიძე ვ. ზახარიანის წინააღმდეგ. მან ლამაზი კომბინაციებით თვალსაჩინო უპირატესობა მოიპოვა და 25-ე სვლაზე აიძულა მეტოქე თავი დამარცხებულად ეცნო.

ე. ჩუკაევმა მოუგო ს. ჰალილბეილის, გროსმაისტერმა ი. ავერბახმა — ა. გელერს, რიგელმა ოსტატმა ი. კლოვანმა — მ. შიშოვს. დანარჩენი სამი პარტია გადაიდო.

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ. 30 ნოემბერი. (სპეც. კორ.). დღეს აქ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

ამ დღეს ე. ჩუკაევს სამი გადადებული პარტია ჰქონდა დასამთავრებელი და სამივეში დამარცხება განიცადა. მან წააგო შეხვედრები ბ. გოლდენოვთან, ა. ყარაჯაევთან და ვ. ბაგიროვთან. ოსტატმა ა. ბუსლაევმა დაამარცხა ბ. გოლდენოვი, ვ. ბაგიროვმა — ა. ყარაჯაევი, ს. ჰალილბეილმა — ე. თათევოსიანი. ე. მნაცაკანიან-ე. თათევოსიანის პარტია ყაიმით დამთავრდა.

10 ტურის შემდეგ ლიდერობას კვლავ გროსმაისტერი ე. გალერი ინარჩუნებს, რომელსაც 8,5 ქულა აქვს.

რედაქტორი

დ. მᲔᲓᲔᲚᲘᲣᲨᲕᲘᲚᲘ.

საგჭოთა კალათბურთელები ამერიკაში

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 30 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ნაკრებმა გუნდებმა შინ მოაწყეს შეხვედრები ქალაქ პეორიაში (ილინოისის შტატი).

საბჭოთა კალათბურთელი ქალები შეხვდნენ „ნეშვილ ვიზნეს კოლეჯის" გუნდს, რომელიც გამოდიოდა არსებითად იმავე შემადგენლობით, როგორითაც თამაშობდა ნიუ-იორკში ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები. სსრ კავშირის გუნდმა შეხვედრა დაიწყო ასეთი შემადგენლობით: გ. იაროშევსკაია, რ კუზნეცოვა, ნ. ერიომინა; ნ. მაქსიმელიანოვა და ვ. კოსტიუკოვა.

მწვავე სპორტული თამაში მიმდინარეობდა ცვალებადი წარმატებით. მე-8 წუთისათვის საბჭოთა კალათბურთელებს ჰქონდათ 3 ქულით ნაკლები. ვ. კოსტიკოვას საჯარიმო ტყორცნამ, ხოლო შემდეგ ნ. ერიომინას ნაგდებულმა ბურთებმა წინ გაიყვანა საბჭოთა გუნდი. თამაშის პირველი ნახევრის ანგარიში იყო 28:25. სსრ კავშირის გუნდის სასარგებლოდ.

თამაშის მეორე ნახევრის მე-7 წუთზე ამერიკის გუნდი დაეწია საბჭოთა კალათბურთელებს და ერთი ქულითაც კი გაუსწრო. მოედანს ტოვებს ნ. მაქსიმელიანოვა, რომელმაც ტრავმა მიიღო. მის ნაცვლად გამოდის ს. სმილძინია, ნ. პოზნანსკაიამ შეცვალა გ. იაროშევსკაია. სმილძინიამ ჩააგდო ბურთი თამაშის დროს, ხოლო შემდეგ გაანაღლდა საჯარიმო ტყორცნა. საბჭოთა გუნდმა კვლავ გაუსწრო მოწინააღმდეგეს ორი ქულით, იგრძნობა ჩვენი გუნდის უპირატესობა. შეხვედრა, რომელმაც მაღალ სპორტულ დონეზე ჩაიარა, დამთავრდა საბჭოთა კალათბურთელების გამარჯვებით ანგარიშით 46:42. ყველაზე შედეგიანი იყვნენ ვ. კოსტიკოვა — 17 ქულა და ნ. ერიომინა — 10 ქულა.

სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები გუნდი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს „კეტერპილარსს", რომელიც დიდ როლს ასრულებს ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები და ოლიმპიური გუნდების შედგენისას.

საბჭოთა გუნდი მოედანზე გამოდის ასეთი შემადგენლობით: გ. მინაშვილი, მ. ვალდმანისი, ი. კორნეევი, ვ. ზუბკოვი და გ. ვოლნოვი. პირველი წუთებიდანვე იწყება მწვავე კომბინაციური ბრძოლა. სწრაფი გარღვევები, ცხარე შეტაკებები ფართან. ვერც ერთი გუნდი ვერ ახერხებს წინ გაპრას. მე-17 წუთზე შეხვედრის ანგარიში თანაბარია. ბოლოს, „ხელი გამოიღო" ზუბკოვმა. ზედიზედ ორი მოხდენილი ტყორცნით მას წინ გაჰყავს თავისი გუნდი. თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა ანგარიშით 29:25 საბჭოთა კალათბურთელების სასარგებლოდ.

შეხვედრის მეორე ნახევარი სსრ კავშირის გუნდმა დაიწყო მ. სტუდენეცის, ვ. მუიანინეკსის, ი. კრუმინშის, ვ. ტორბანის, ვ. ზუბკოვის შემადგენლობით. საბჭოთა გუნდი 5 ქულით წინ არის. მაგრამ მან საკმაოდ ვერ გამოიყენა კრუმინშის შესაძლებლობანი. ამერიკელები გაძლიერებით უტევენ ჩვენი გუნდის კალათს. მე-14 წუთზე სხვადასხვა მანძილიდან რამდენიმე ჩინებული მოხვედრა და ჩვენი მეტოქეები 7 ქულით წინ არიან.

მატჩის დამთავრებამდე ერთიწუთით ადრე განსხვავება მცირდება ორ ქულამდე. ბურთი საბჭოთა კალათბურთელებს აქვთ, მაგრამ ამჯერად მსაჯის არაობიექტურობა გვაკარგვინებს ბურთს. ამერიკელებმა ჩააგდეს კიდევ ორი საჯარიმო ბურთი.

მატჩი დამთავრდა ანგარიშით 67:63— გაიმარჯვა ამერიკის გუნდმა. სამწუხაროდ, თამაში გაიფუჭა კანადელი მსაჯების არაობიექტურობამ.

ყველაზე მეტი ქულა გუნდს მოუტანეს ი. კრუმინშმა და ვ. ზუბკოვმა — 11 ქულა თითოეულმა, ა. ბოჩკარიოვმა—10 და ვ. მუიანინეკსმა — 9 ქულა.

ხვალ საბჭოთა კალათბურთელები კლივლენდში მიფრინავენ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲡ" ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲛᲝᲜᲢᲔᲕᲘᲓᲔᲝ, 30 ნოემბერი. (საკდესი). მოსკოვის გუნდს „სპარტაკს, რომელიც ამჟამად ბრაზილიაში იმყოფება, გუშინ ჰქონდა მეორე შეხვედრა.

სპარტაკელები 29 ნოემბერს ქალაქ ბელო-ორიზონტში შეხვდნენ კლუბს „ატლეტიკო მინეირო". ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა თამაშის პირველ ნახევარში ერთი ბურთი გაიტანეს „სპარტაკის" კარში. მეორე ტაიმში სპარტაკელთა გაწყვეტელი იერიში წარმატებით დამთავრდა. მე-12 წუთზე სალნიკოვმა გათანაბრა ანგარიში. ილინმა ჩინებული დარტყმით (41-ე წუთზე) დამსახურებული გამარჯვება მოუტანა „სპარტაკს". მატჩის ანგარიშია 2:1 „სპარტაკის" სასარგებლოდ.

ᲠᲐᲓᲘᲝ

1 დეკემბერი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

11.00 — გადაცემა ციკლიდან — „მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში", 11.30 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 12.15 — კონცერტი, 12.45 — საკავშირო რადიოს რუსული სიმღერის გუნდის კონცერტი, 17.20 — იუროვსკი. სიმფონიეტა „ახალგაზრდობის სიმღერები" და ვალსი, 17.45 — გადაცემა ყველაზე პატარებისათვის, ნ. თარგამაძის პოემა „უშნო ნაძვის ხე", 18.05 — ზურაბ ანჯაფარიძის კონცერტი, 18.45 — სიმღერები რიგის სახელმწიფო ფილარმონიის ვაჟთა ვოკალური კვარტეტის შესრულებით, 19.15 — ანდრია ბალანჩივაძის პირველი სიმფონია, 20.30 — ლიტერატურული გადაცემა. ქართველი მწერლების მოთხრობები (რუსულ ენაზე), 21.00 — ქართული ხალხური სიმღერები, 21.30 — ზ. ფალიაშვილი. ოპერა „ლატავრა", 22.35 — კონცერტი სერგეი პროკოფიევის ნაწარმოებებიდან.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

1 დეკემბერი

რუსთაველის სახელობის — როიკა ასეთი სიყვარულია, **გრიბოედოვის სახელობის** — შორეული გამოძახილი (მე-5 ა., მე-2 წარ.), **მუსიკალური კომედიის** — ვახშამზე (სომხური დრამის თეატრში), **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—პინოკიოს ტურანდოტი (აბონ. № 22, 7 ს.), **რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზი** — მიხეილ ალექსანდროვიჩის კონცერტი (დასაწყ. 8 ს. 30 წ.), **თოჯინების ქართული** — ზარმაცი კიკო (11 ს.), მამლაყინწას თავგადასავალი. (2 ს.).

* * *

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ასპინი, სპარტაკი, **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის** კლუბი — ახალგაზრდა მეწისქვილე, **თბილისი** — ცეკვის მასწავლებელი, **კომკავშირელთა 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **კიროვის სახელობის** პარკი, **კომუნარების ბაღი** — ნ-8.., **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **ძერჟინსკის სახელობის** კლუბი (საზამთრო), **დუბე,** ყაზბეგი — მისი თაობა, **საქართველო** (წითელი დარბაზი), **კოლხიდა, ჭავჭავაძის სახელობის** კლუბი, **ოფიცერთა სახლი** — ბალადა ჯარისკაცზე, **გორკის სახელობის** კულტურის სახლი, **ორჯონიკიძის სახელობის** კულტურისა და **დასვენების** ცენტრალური პარკი — **პარტი, ძერჟინსკის სახელობის** კლუბი (საზაფხულო) — ადამიანები ზღვაზე (ერინი არიან, **კოლმეურნე** — თავდასხმა, **თანამგზავრი** — ასი სერენადა.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘ, ᲞᲘᲐᲜᲘᲜᲝ... ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲘᲡ ᲒᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘᲗ

ᲒᲣᲨᲘᲜ დილის 10 საათზე სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში დაიწყო საქართველოს 1959 წლის მეოთხე გამოშვების ფულისა და ნივთების ლატარიის მოგებათა ტირაჟი.

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარემ, მშრომელთა დეპუტატების სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ე. ამიჩბამ მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა სატირაჟო კომისიის სხდომა.

დაიწყო ტირაჟი. ატრიალდა სატირაჟო ბორბლები. სკოლამდელი ასაკის ბავშვებს ამოაქვთ ბილეთების ნომრები. აი ავტომანქანა „მოსკვიჩი" ხვდა 22198 სერიის № 36 ბილეთს, მეორე ავტომანქანა „მოსკვიჩი" 22122 სერიის № 120 ბილეთს.

20229 სერიის № 88 ბილეთის მფლობელმა მოიგო პიანინო. 22036 სერიის № 127 ბილეთს კი ხვდა საწოლი ოთახის გარნიტური, რომელიც 8.000 მანეთი ღირს.

ტირაჟში უკვე გათამაშდა დიდი რაოდენობით ტელევიზორები, რადიოლები, მოტოციკლები, მაცივრები, საკერავი მანქანები და სხვ. ტირაჟში, რომელიც დღეს დამთავრდება, გათამაშდება 1 მილიონ 800 ათასამდე მანეთის ნივთები, გარდა ამისა, 9.509 ფულადი მოგება, რომელთა საერთო თანხა ნახევარ მილიონ მანეთს აღემატება.

ᲔᲔ 07731 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემ